საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

შაბათი, 14 ოქტომბერი. 2017 წ. №212 (8349), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

არჩევნებამდე ერთი კვირაღა დარჩა!

ახლა მთავარია, რომ ამომრჩეველი არ მოატყუოს ძველცოდვებაკიდებული ნაციონალების ცრუ დაპირებების კორიანტელმა!

როგორც ცნობილია, არც ყორანი თეთრდება ხეხვით და არც გველი იცვლება კანის გამოცვლით!

ეს უნდა გვახსოვდეს ყველას, როცა 21 ოქტომბერს ბიულეტენს ავიღებთ შემოსახაზავად!



პრეზიდენტის ვეტო დაძლეულია!

117 მომხრე, 7 წინააღმდეგი — საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის ვეტო დაძლია. სხდომათა დარბაზში არ იმყოფებოდა „ნაციონალური მოძრაობა“.

თქვენ რომ ჩვენზე ჭკვიანები იყოთ, ჩვენ არ ვისხდებოდით აქ 116 კაცი და თქვენ – 21!

პარლამენტში კონსტიტუციის ახალ პროექტზე პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების განხილვის დასრულების შემდეგ გიგა ბოკერიამ დაზუსტებისთვის 30 წამი ითხოვა და პარლამენტს ვეტოზე დათანხმება შესთავაზა.

„რახან პრეზიდენტი არ დაეთანხმა ვეტოს იმ ვარიანტს, რომელსაც თქვენ სთავაზობდით საჯაროდ, ახლა თქვენ აპირებთ, რომ ინიცირება მოახდინოთ ამ ცვლილებების კონსტიტუციის მიღების შემდეგ, სწორად მესმის? თუ ასეა და თუ სწორად გავიგე, ჟესტის შანსი გაქვთ პროცედურულის, დაეთანხმეთ პრეზიდენტის ვეტოს და მოახდინეთ ინიცირება იმ ცვლილებების, რასაც არ ეთანხმებით. გაწყობთ ესეთი ვარიანტი? ხომ გაქვთ უმრავლესობა, ასეთ ჟესტს გააკეთებთ საზოგადოების მიმართ, პრეზიდენტის მიმართ. რატომ, ეჭვი გეპარებათ რამეში? იქნებ სცადოთ, დაფიქრდეთ“, — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

პარლამენტის თავმჯდომარემ კი უპასუხა:

„თქვენ რომ ჩვენზე ჭკვიანები იყოთ, ჩვენ არ ვისხდებოდით აქ 116 კაცი და თქვენ — 21 კაცი, ბატონო გიგა, ასე რომ, ჭკუაში მოტყუება ცოტა ისეთი, უხერხული მცდელობაა“, — თქვა კობახიძემ.

SIC!

საელჩო მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები ქმნის ძლიერ საფუძველს ხანგრძლივი და მტკიცე რეფორმებისთვის, როდესაც ამ ცვლილებებზე საზოგადოების და პოლიტიკური პარტიების ფართო კონსენსუსი არსებობს. საელჩო იზიარებს ვენეციის კომისიის შეფასებას და მტკიცედ უჭერს მხარს კომისიის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს. ჩვენ იმედგაცრუებული ვართ, რომ მხარეებმა კონსენსუსს ვერ მიაღწიეს!..

ამერიკის საელჩო საქართველოში

ავარიული სახლების უცნობი სტატისტიკა

„თბილისში ავარიული სახლების ზუსტი რაოდენობა დღემდე დათვლილი არ არის“

4

ანაკლიის პორტის მშენებლობა

2

20 დეკემბერს დაიწყება

უნამლოდ თავის შველა

როგორ მოვიქცეთ, როცა მედიკამენტები ხელთ არა გვაქვს

9

ნურავის ექნება ილუზია, რომ ერთხელ ან ორჯერ ჩატარებული შენამვლით „აზიურ ფაროსანას“ გააქრობს!

4

ვანო ჩხიკვაძე – 70



ქართული სიტყვის გორელი მეცხოვნე

6

შენ მკითხველს უყვარხარ!..

დიმიტრი ქუმსიშვილი: ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მხარდაჭერა

ეს განაცხადება პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში გამართული შეხვედრების შემდეგ გააკეთა. მისი თქმით, კონგრესმენებთან შეხვედრისას განიხილეს საქართველოში მიმდინარე პროცესები, ის სტრუქტურული რეფორმები, რომლებიც მიმდინარეობს ქვეყანაში.

კონგრესმენ დევიდ პრაისის განცხადებით, ქართულ დელეგაციასთან ნაყოფიერი შეხვედრა შედგა. **„გვქონდა საინტერესო და სასარგებლო შეხვედრა პირველ ვიცე-პრემიერ, ფინანსთა მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილთან. ვისაუბრეთ საქართველოს ეკონომიკის შესახებ, ასევე, იმ შეხვედრების შესახებ, რომელსაც მინისტრი ქუმსიშვილი გამართავს ვაშინგტონში როგორც ფინანსურ ინსტიტუტებთან, ისე საქართველოს მეგობარ კონგრესმენებთან რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიებიდან. ვფიქრობ, რომ საქართველოს ბევრი აქვს სასაუბრო, განსაკუთრებით, ეკონომიკის მიმართულებით. რა თქმა უნდა, არის სირთულეები, თუმცა ქვეყანა უკეთესობისკენ ვითარდება. ეკონომიკური ზრდის ტემპი ჯანსაღია, კორუფციის ინდექსი საკმაოდ დაბალია. საქართველომ დიდი პროგრესი განიცადა ქვეყნის მართვისა და ეკონომიკური განვითარების კუთხით. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს, ასევე მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საქართველოს პარლამენტთან. ჩვენ გვიყვარს საქართველო, ამერიკელი ხალხი აფასებს საქართველოს პროგრესს და ველით უფრო მეტ განვითარებას,“** — აღნიშნა კონგრესმენმა დევიდ პრაისმა შეხვედრის დასრულების შემდეგ.

პუშკინის სკვერი ბიძინა ივანიშვილის კომპანიას ოფიციალურად გადაეცა

თბილისის **საკრებულომ 10 ოქტომბრის განკარგულება გამოაქვეყნა. განკარგულებაში საუბარია, რომ დედაქალაქის მთავრობამ და დედაქალაქის საკრებულომ შეთანხმების საფუძველზე პუშკინის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის 1900 კვადრატული მეტრი სიმბოლურ ფასად 1 ლარად კომპანია „თბილისი სითის“ გადასცა.** განკარგულების მიხედვით, კომპანია ვალდებულია, განახორციელოს არანაკლებ 1 მილიონი ლარის ინვესტიცია და მოაწყოს მიწისქვეშა ავტოსადგომი არანაკლებ 30 ავტომობილისთვის. განკარგულების მიხედვით, თუ კომპანია ვერ უზრუნველყოფს 30-ადგილიან პარკინგს ან შესრულების ვადას გადააცილებს, პირგასამტეხლოდ დაერიცხება 50 ლარი. თუ დაირღვევა ავტომობილთა სადგომის მონაცემთა რაოდენობა, პირგასამტეხლოდ კომპანიას დაეკისრება 100 ლარი.

შსს-ს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრს აშშ-ის ელჩი ეწვია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრს (JMOC) აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი დელეგაციასთან ერთად ეწვია.

სტუმრებს შს მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან ჭაბუკიანმა უმასპინძლეს. ვიზიტის ფარგლებში, აშშ-ს ელჩმა და დელეგაციის წევრებმა საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრის ინფრასტრუქტურა დათვალიერეს, მისი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს და სამომავლო გეგმებს გაეცნენ.

საზღვაო ოპერაციების ერთობლივი მართვის ცენტრი, შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის ბაზაზე, აშშ-ის ექსპორტის კონტროლისა და საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის დაფინანსებით აშენდა.

ცენტრის მიზანია საქართველოს საზღვაო სივრცეში არსებული საფრთხეების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა; ზღვაზე არალეგალური ქმედებების, საზღვაო ინციდენტებისა და საზღვაო სივრცის სამართლებრივი რეჟიმის კონტროლი; პრევენცია, გამოვლენა და რეაგირება დარღვევებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ისე მთელ რეგიონს; საზღვაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის ერთიანი სისტემის შექმნა; ერთიანი მართვის ცენტრის მონაწილე უწყებების მიერ ერთობლივი საზღვაო ოპერაციების, ასევე, კრიზისულ სიტუაციებში შეთანხმებულ მოქმედებათა დაგეგმვისა და განხორციელების უზრუნველყოფა.

ვერც შევჩენკოს და ვერც მალდინის განცხადებაში კამპანიის წესების დარღვევას ვერ ვხედავ!

„ადმინისტრაციული **რესურსის გამოყენება ან აგიტაცია ხდება მაშინ, როდესაც თვითონ ღონისძიებაა წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნებისთვის ორგანიზებული“,** — ამის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ თამარ ჟვანიამ განაცხადა. მისივე განმარტებით, 29 სექტემბერს საქველმოქმედო მატჩის შემდეგ ანდრეი შევჩენკოსა და პაოლო მალდინის განცხადებები წინასაარჩევნო კამპანიის წესების დარღვევას ვერ ხედავს.

„ამასთან დაკავშირებით როგორც პოლიტიკურმა პარტიებმა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოგვმართეს. ეს არ იყო წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის ორგანიზებული ღონისძიება. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება ან აგიტაცია ხდება მაშინ, როდესაც თვითონ ღონისძიებაა წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნებისთვის ორგანიზებული. ჩვენ ყველას გავეცით შესაბამისი პასუხი. მე პირადად, ვერც შევჩენკოს განცხადებაში და ვერც მალდინის კონკრეტული აზრის გამოხატვაში კამპანიის წესების დარღვევას ვერ ვხედავ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში არანაირად არ შემდგარა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი“, — განაცხადა თამარ ჟვანიამ.

ანაკლიის პორტის მშენებლობა 20 დეკემბერს დაიწყება

ამის **შესახებ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ წარმომადგენლებმა 12 ოქტომბერს ბიზნესმენებთან შეხვედრაზე განაცხადეს.** „გადასახადის გადამხდელთა კავშირთან“ შეხვედრისას ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებით ბოლო 1 წლის განმავლობაში ჩატარებული წინასამშენებლო სამუშაოები შეაჯამეს და ქალაქ ანაკლიის კონცეფცია და სამუშაო პროცესი წარადგინეს.

წინასამშენებლო მოსამზადებელი ეტაპი 2016 წელს დაიწყო და ამ პერიოდში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები და პროექტები:

- **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ შეარჩია და გამოავლინა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის საკონტეინერო ტერმინალის ოპერატორი — მსხვილი ამერიკული კომპანია SSA Marine.** იგი ასევე ანაკლიის პორტის ერთ-ერთი ინვესტორი იქნება.
- **მომზადდა და დამტკიცდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის გენერალური გეგმა. დაახლოებით 600-გვერდიან დოკუმენტზე 1 წლის განმავლობაში „ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან“ ერთად საერთაშორისო კომპანია MTBS-ი მუშაობდა.** გეგმა 2017 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა;

დაიწყო მუშაობა ქალაქ ანაკლიისა და სპეციალური ეკონომიკური ზონის განვითარებაზე, რომელსაც კომპანია „ანაკლია სითი“ ხელმძღვანელობს. „ანაკლია სითიმ“, რომელიც 2017 წლის ივნისში დაფუძნდა, ამ დროისათვის უკვე გააფორმა მემორანდუმი სამხრეთ კორეის ინჩეონის თავისუფალ ეკონომიკურ ზონასთან; **დაიწყო კომუნიკაცია 100-ზე მეტ საერთაშორისო კომპანიასთან; ჩაატარა ტენდერი იმ კომპანიების გამოსავლენად, რომლებმაც უნდა მოამზადონ „ანაკლია სითის“ ეკონომიკური ანალიზი, პროექტის განხორციელებადობის კვლევა და გენერალური გეგმა;**

- **წამყვანმა ჰოლანდიურმა კომპანია Van Oord-მა ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის ჩაატარა მოსამზადებელი საზღვაო საინჟინრო, მათ შორის, გეოტექნიკური, ტოპოგრაფიული და სხვა კვლევები.** „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ დაასრულა პროექტის განხორციელებადობის ყველა ტექნიკური კვლევა;
- **მომზადდა ანაკლიის ნავსადგურის წინასწარი დიზაინი, რომლის შედგენაშიც კონსორციუმთან ერთად ჩართული იყვნენ წამყვანი საერთაშორისო კომპანიები Moffatt & Nichol, Royal HaskoningDHV და Van Oord;**
- **მომზადდა და დამტკიცდა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განაშენიანების რეგულირების გეგმა;**
- **საქართველოს მთავრობამ დაასრულა ანაკლიის ნავსადგურის საინვესტიციო ტერიტორიების გამოსყიდვა;**

მომზადდა ანაკლიის პორტის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი, რომელზე მუშაობის დროსაც „ანაკლიის განვითარების კონსორციუმმა“ ჩაატარა 50-ზე მეტი კვლევა პორტისა და მიმდებარე ტერიტორიის ფლორის, ფაუნისა და საზღვაო ნაწილის შესასწავლად; სხვადასხვა დროს გამართა საჯარო შეხვედრები ზუგდიდსა და ანაკლიაში ადგილობრივ მოსახლეობასთან; ანგარიშზე მუშაობის პროცესში ჩართული იყო 20-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია, მათ შორის Royal HaskoningDHV და Ecoline International. ჩატარდა ანაკლიისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის სოციალური და ეკონომიკური კვლევები.

წმიდა სინოდის სხდომის განჩინებიდან

საპატრიარქომ წმიდა სინოდის ბოლო სხდომაზე სხვა მრავალ საკითხთან ერთად განიხილა დეკანოზ გიორგი მამალაძის ბრალდების საქმეც.. სინოდის სხდომაზე სიტყვა მიეცა ჭყონდიდელ მიტროპოლიტ პეტრეს.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს:

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა გრიგოლმა, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ, ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა, ბოდბელმა ეპისკოპოსმა იაკობმა, რუსთველმა მიტროპოლიტმა იოანემ, გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა იოანემ.

წმიდა სინოდმა დაადგინა:

„მიუხედავად იმისა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ საქალაქო სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და მას მიუსაჯა ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა, დღეისთვის განაჩენი გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში; ასევე იმის გამო, რომ ამ საკითხის ირგვლივ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და გამოითქმის ურთიერთგამომრიცხავი პოზიციები, მოცემულ ეტაპზე, ვიდრე დეკანოზ გიორგი მამალაძის განაჩენის მიმართ სააპელაციო-საკასაციო პროცედურები არ არის დასრულებული, წმიდა სინოდი არ მიიჩნევს მიზანშეწონილად კანონიკური სამართლის ფორმატში დაიწყოს დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმის განხილვა, რაც ამ საქმის ირგვლივ არსებულ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებდა. შესაბამისად, წმიდა სინოდი თავს იკავებს დეკანოზ გიორგი მამალაძის მიმართ საბოლოო დასკვნების გაკეთებისგან.

აღნიშნული სააპელაციო-საკასაციო პროცედურების დასრულების შემდგომ, წმიდა სინოდი საეკლესიო კანონების მიხედვით საფუძვლიანად შეისწავლის საქმის არსს, რაც ეკლესიაში საბოლოო ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს“.

თვალნათლივ გამოჩნდება ვინ ვის რას მოსჭამს!

წინასაარჩევნო ვითარებამ თბილისში ვარვარების იმ კონდიციას მიაღწია, როცა ერთი დროის საომარი ყიჟინის პერიფრაზის შესაბამისად, „უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, ჩვენ უკან თბილისია!“

მერობის კანდიდატების ლაშქარი, ყოვლად ლეიბორისტი გუგავას ჩათვლით, ქალაქს არის შესეული და კარგი ცხოვრების დაპირებებით სულს ხდის.

ძალაუნებურად გახსენდება ანეკდოტი: მოხუცი მამა კვდება, სარეცელთან შვილები და ახლობლები შემოჯარულან, მოუთმენლად ელიან მის ბოლო განკარგულებას.

მართლაც, როგორც იქნა, ბერიკაცმა თვალები გაახილა და თითი მაღლა ასწია:

— ორივე ქარხანას ვუტოვებ საყვარელ უფროს ვაჟს!

— გმადლობთ, მამიკო!

— სასახლესა და მამულს ვუტოვებ საყვარელ შუათანა ვაჟს!

— გმადლობ, მამიკო!

— ნაღდ ფულს — 100 მილიონ დოლარს ვუტოვებ საყვარელ უმცროს ვაჟს!

— გმადლობ, მამიკო!

— კმაყოფილი ხართ?

— ძალიან, მამიკო, ოღონდ ბარემ ისიც გვითხარი, სად არის ეს ქარხნები, სასახლე-მამულები და ფული?

— ახლა მაგაზეც მე მაფიქრეთ, თქვე უსაქმურებო! — გაბრაზდა ბერიკაცი და სული განუტევა.

როგორც ვხედავთ, გამჭრიახმა კაცმა შთამომავლებს სულ ტოლად გაუნაწილა თავისი არარსებული ქონება, გულდაწყვეტილი არავინ დატოვა, ოღონდ ახლა თვით შთამომავლებმა უნდა იმტვრიონ თავი იმ „ქონების“ მისაგნებად.

აქ ერთი რამეც ბადებს კითხვას: ცოლ-შვილმა მშვენივრად იცოდა, რა ქონების პატრონიც იყო ბერიკაცი, რომ თითზე გადასახვევი ძაფიც არ ებადა, მაგრამ მაინც იმედით ელოდა ანდერძს — რა იცი?! აკი მიიღო კიდეც!

ამ მაღვალაკურ ანეკდოტს მაგონებს 2012 წლის ოქტომბრის პოლიტიკური მიწისძვრით იავარქმნილი ნაციონალური მოძრაობის ვითომ მონოლითური ტაძრის ღრენია და კბენია ფრაგმენტების წლევანდელი წინასაარჩევნო ტაქტიკა — თბილისის მერობის კანდიდატები პირდაპირ სიუხვის რქით აპნევენ დაპირებებს.

ზალიკო უდუმაშვილმა, რომელსაც თავის ცხოვრებაში სხვისი დაწერილი ტექსტების ეკრანზე გახმოვანების გარდა, არაფერი უკეთებია, ამ წინასაარჩევნო პროცესში ზედმიწევნით აითვისა სულიერი მამის მიშა სააკაშვილის აპრობირებული პრაქტიკა — ამომრჩევლებთან შეხვედრისას მოხუცი ქალბატონების ჩახუტება ზურგზე ხელის მოთათუნებით, ვითომ შენზე ძვირფასი ვინ მყავსო, თვალებში იმედით შეციცინებულ ადამიანებს, სულმოუთქმელად რომ ელიან, ვინმემ იქნებ რამე მართლა ღირებული თქვასო, წარბშეუხრელად ჰპირდება, თუ ამირჩევთ, თბილისს ბედნიერების ქალაქად ვაქცევ, რძის მდინარეებით და კისელის ნაპირებით, ქარხნები — მუშებს, მიწა — გლეხებს, ჩეჩქივით პენსია — პენსიონერებსო!

და არის ერთი „ვაშაააა“ და „შენ დაურჩი დედაშენს, უდუმაშვილო, დუმიანადაც და უდუმიანადაცო“.

ელენე ხოშტარია ამ შეხვედრებისას გმირულად ცდილობს თაბაშირის ნიღბის გაცოცხლებას და ხანდახან გაღიმებასაც კი ახერხებს, პენსიონერებსა და უმწეოებზე ჩამოდის ფსონს და მათ 50-ლარიან დანამატს და დახმარებას ჰპირდება. ეგ კი არა, ბიძინა ივანიშვილს ფულს წავართმევთ და თქვენ დაგირიგებთო. „ვაშაააა“!!!

ხალხს ასევე უხვად ჰპირდებიან სიკეთეებს გიორგი ვაშაძე და სხვები.

მათგან რა მიდის!

მთავარია შეპირების მოფიქრება!..

— წყალი ჩამოგვდის, შვილო!

— კრამიტს გამოგიცვლით!

— ვაშაააა!

— პენსია არ გვყოფნის!

— ხუთას თუმანს აქვე მოგცემთ, ხუთას თუმანს — გომარეთსა!

— ვაშაააა!

— დევნილებს ბინები გვიჭირს!

— სულ ცალ-ცალკე სახლებს აგიშენებთ, ხოლო, ვისაც მაინცდამაინც გინდათ, აფხაზეთში დაგაბრუნებთ!

— ვაშაააა!

ოღონდ ეს კია, ხალხში ჩურჩულ-პუტუნია, საიდან ეს ყველაფერი, რა სახსრებით, რა საშუალებით, ჩვენო ტკბილო ზალიკო, ელიკო, გოგლიკო, ალიკოო?

მაგრამ ანეკდოტისა არ იყოს, ახლა ამაზეც ზალიკომ, ელიკომ, გოგლიკომ, ალიკომ და გუგავიკომ ხომ არ უნდა იფიქრონ?

საიდან და შიოს მარნიდან, ბიჯოს!

ზალიკომ თქვა და შენ გინდ დაიჯერე, გინდა არა!

როდის იყო არჩევნებში ჩაფლავების (ან გამარჯვების) შემდეგ ვინმეს ამაო დაპირებების გამო ყურებს აჭრიდნენ?

— ოცნებელი კახა კალაძეც ხომ ბევრს გვპირდება?!

კი, გვპირდება, იმასაც ხომ ხმები სჭირდება, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მის უკან მთელი „ქართული ოცნება“ დგას, რომელიც მართალია ზიგზაგურად, მძიმე-მძიმედ, მაგრამ საერთო ანგარიშით დაპირებულს, ასე თუ ისე, ასრულებს, კეთების გამოცდილება აქვს. ამდენად შანსი, რომ კახას ნათქვამი ახდება, აშკარად ხელშესახებია, თუ უბედურ ნარმანიასავით კალაძეც არ წამოიკიდეს და საქმის კეთება აცალეს და ისიც არ გაუტრიზავეს, რასაც აკეთებდა. თუმცა არა ჩანს ეს კაცი ასე ადვილად ასაგდები კაცი.

დიახ, კახა კალაძის ზურგს უკან „ოცნებაა“, უდუმაშვილს, ხოშტარიას და გიორგი ვაშაძის უკან კი, უკეთეს შემთხვევაში, ნიკანდრო მელია და მისი მსგავსი დალი ჰასანები, რომლებიც დიდი იდეოლოგის გიგა ბოკერიას კურთხევით მყარად იქცნენ აგრესიულად მყვირალა ოპოზიციის სიმბოლოდ, რომლებიც არ იცი, საიდან, როდის გეცემიან და ფეხებს მოგაჭამენ, ან თუ ვერ მოგაჭამეს, მოჭმას მაინც შეეცდებიან, ახლახანდელის მსგავსად, როცა ოპოზიციამ მთელი ანტისახელისუფლებო სპექტრი გააერთიანა, ამაო იერიში მიიტანა თბილისის საკრებულოზე და ნირწამხდარი მაინც გულდაგულ აანონსებს მომავალ იერიშებს, ანუ მივარდნებს და მოჭმებს.

რამდენიმე დღეში თვალნათლივ გამოჩნდება, ვინ ვის რას მოსჭამს!

ალეკო ასლანიშვილი

„NATO-ში საქართველოს ინტეგრაციის გააქტიურება აფხაზეთში შეშფოთებას იწვევს“

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის მიღებულ რეზოლუციას გამოეხმაურა. დე ფაქტო უწყების ცნობით, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გააქტიურებისკენ მოწოდება შეშფოთებას იწვევს:

„აფხაზეთის რესპუბლიკაში კარგად ახსოვთ 2008 წლის სამიტის ოთხი თვის თავზე როგორ წამოიწყო საქართველომ სისხლიანი ომი სამხრეთ ოსეთთან. რომ არა NATO-ში შესვლის საქართველოს მანიაკალური სურვილი და პარტნიორების მხრიდან ამის წახალისება, შეიძლება, სამხრეთ ოსეთში დატრიალებული ტრაგედია თავიდან აგვეცილებინა“.

მათივე თქმით, NATO ვერ აცნობიერებს, რომ სამხედრო ბლოკში გაწევრიანების წახალისებით, ქართველ საზოგადოებასა და ხელისუფლებაში აგრესიისა და მოუთმენლობის ზრდას უწყობს ხელს.

დე ფაქტო აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ აღიარების შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე გვარდება, მათ შორის, სამხედრო სფეროში:

„სამხედრო სფეროში მიღწეული შეთანხმებები მიმართულია იმისკენ, რათა აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობა და უსაფრთხოება უზრუნველყოს და ეს არაფრით მოქმედებს საქართველოზე“.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე საუბრისას საქართველო და მისი „მეგობრები დასავლეთიდან პროპაგანდისტული ისტერიის მანკიერ გზას“ მიყვებიან. მათივე თქმით, ასეთ ქმედებებს პროდუქტიული შედეგი არ ექნება:

„აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს NATO-ს საპარლამენტო ასამბლეას, რათა მსგავსი დოკუმენტების მიღებისას ნეიტრალიტეტი შეინარჩუნოს“.

NATO-ს ყოველწლიური საპარლამენტო ასამბლეა 6-9 ოქტომბერს ბუქარესტში ჩატარდა. ასამბლეაზე შავი ზღვის რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების რეზოლუცია მიიღეს. ასამბლეის წევრებმა ევროატლანტიკურ ინტგერაციაში საქართველოს მტკიცე მხარდაჭერა გამოუცხადეს.

„ხამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მხიარული“...

ბედის ირონიით ქარაფშუტა უცხოელები არ გვაკლია. ქსენოფობია იქით იყოს და რომ ჩაგვჩიჩინებენ: უცხოელების შემოსვლა კარგია, აქ ინვესტიციებს დააბანდებენო, დიდებული შეპირებაა. ინვესტიციებს, ფულის დაბანდებას და გულღია სტუმარ-მასპინძლობას რა ჯობია, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, ბოლო ხანებში უმადური სტუმრები რომ მოგვიმრავლდნენ, ეს არის დასაფიქრებელი.

ჩვენს ქვეყანაში გზები რომ მოუწესრიგებელი და დანგრეულია, ამას ჩვენც ვჩივით ჩვენი ხელისუფლების მისამართით. ამ საქმეში თუ მხარს უცხოელებიც დაგვიჭერენ, მადლობას ვეტყვით. უცნაური ის არის, რომ უცხოელთაგან ზოგ-ზოგებს თურმე მარტო გარემო კი არა, ჩვენც არ მოვწონვართ: დაბღვერილები არიანო, გაღიმებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტიაო, სტუმარ-მასპინძლობა არ იციანო. ასე წერს ჩვენზე ვინმე ალექსი ქერი, ჩვენთან შემთხვევით შემოხეტებული ჟურნალისტი. საკვირველია, რომ ეს ქერი, ეს მარადი მგზავრი, მსოფლიოს 49 ქვეყანაში ყოფილა და მარტო საქართველოთია უკმაყოფილო. არ მინდა, აქ გავიხსენო, მის მშობლიურ ისრაელში როგორ ხვდებიან სტუმრად ჩასულ ქართველებს. ამაზე ბევრი დაიწერა. ოდითგანვე სწორედაც რომ სტუმართმოყვარეობით ვიყავით ცნობილნი და დაფასებულნი.

დავიჯეროთ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში იმდენად მოწესრიგებული იყო ჩვენი ყოფა, ჩვენი ქალაქები და სოფლები, რომ ამით აღფრთოვანდა დიდი მწერალი და ღირსეული კაცი ალექსანდრე დიუმა? არ იქნებოდა მთლად ასე, მაგრამ სხვის თვალში ბეწვს არ ეძებდა ის კაცი. რაც შეეხება ბატონ ქერის, ჩვენი ქვეყნის ბუნება კი მოსწონებია, მაგრამ ჩვენგან ხელშენავლები გარემო ყოფილა საზიზღარი, ჩვენც ყოველმხრივ დასაწუნი.

ალექსანდრე დიუმა სწორედ ქართველების უშურველი ბუნებით, გარეგნობით, გულღიაობით და ათასგვარი დადებითი თვისებებით იყო მოხიბლული. საქვეყნოდ სახელიც გაგვითქვა. ასე იყო აქ მისიონერების ჩამოსვლის დროიდან და თუ გნებავთ, უფრო ადრეც, თვით მარკო პოლოს დროიდან, რომელიც როგორც ირკვევა, ნამყოფია თბილისში და კარგის მეტი არაფერი უთქვამს ჩვენზე. ეს გუნებამოწამლული კაცი ალექსი ქერი კი, აქედან გამგზავრების წინ ჩვენი საჭმელებითაც მოწამლულა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო უარყოფითად განაწყობდა ჩვენ მიმართ.

საქართველოში ხელმეორედ ჩამოსვლას მირჩევნია, ჩრდილოეთ კორეაში გავემგზავროო, — ასე ამთავრებს თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს ჟურნალისტი ალექსი ქერი. საეჭვოა, ასეთ ცხვირაბზუებულ, დაუნახავ სტუმარს თუნდაც ჩრდილოეთ კორეა მოეწონოს. იმ ჩრდილოეთ კორეაშიც ბევრი რამ იქნება დასაწუნიც და მოსაწონიც, მაგრამ თუ ადამიანს კარგის დანახვის, დაფასების უნარი არა აქვს, კარგს ვერაფერს დაინახავს.

ეჰ, ქერი, ქერი, არ ხარ შენ შემოსაშვები ქვეყანაში, მაგრამ ერთი რამ მართლაც არ არის მოსაწონი ჩვენს ხასიათში:

ზედმეტად ხელგაშლილები ვართ ყველას მიმართ.

მზია გელენავა

◎ ესღა გვაკლდა!..

ნურავის ექნება ილუზია, რომ ერთხელ ან ორჯერ ჩატარებული შეწამვლით „აზიურ ფაროსანას“ გააქრობს!

ძვეძანაში ცხელ ზაფხულს მოყოლილი ხანძრები ეგრეთწოდებულმა „აზიურმა ფაროსანამ“ შეცვალა, თუმცა ამჯერად საფრთხე არა კონკრეტულად ტყეს, არამედ დასავლეთ საქართველოს ფლორას ემუქრება. სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის განცხადებით, პრობლემის აღმოსაფხვრელად 12 მილიონი ლარია გამოყოფილი, რომელიც ძირითადად, საკარმიდამო ნაკვეთებზეა გათვლილი. რა სახის ღონისძიებები გატარდა დასავლეთში ფაროსანას წინააღმდეგ და რამდენად ეფექტური გამოდგა სახელმწიფოს მიერ გაწეული დახმარება.

For.ge შეეცადა ამ კითხვებზე პასუხი უშუალოდ მოსახლეობისგან გაეგო.

ოზურგეთის რაიონის სოფელი ხვარბეთის მკვიდრის **ბაგრატ ლოდიას** განცხადებით, მათ სოფელში, სახელმწიფოს ინიციატივით, ადამიანების რამდენიმე ჯგფუფი შეიქმნა, რომლებიც ყველა ოჯახში მიდიოდნენ და შეწამვლით სამუშაოებს ასრულებდნენ.

„რომ ვთქვათ სახელმწიფომ რეფორმები არ გაატარა და არ იზრუნა ამ პრობლემაზეო, ტყუილი იქნება, — უფასოდ მისცეს სოფელს, როგორც შესაწამლი აპარატები, ისე წამალი. სპეციალური ჯგუფები დადიოდნენ და აბსოლუტურად ყველა ოჯახში ატარებდნენ შეწამვლით სამუშაოებს.

წამლის ეფექტურობაზე რა გითხრათ, რომ ვთქვათ ცუდი წამალიაო არა, მაგრამ იმ წუთში არ კლავს მწერს, მეორე დღეს კი იყო ამობრუნებული ძალიან ბევრი. იმდენი ფაროსანა აღარ არის, თუმცა, რომ გამოთბება, შეიძლება ისევ გამოვიდნენ. თუ გარეთ სიცივეა, სითბო უნდათ და სახლებში შემოდიან, მაგრამ სახლშიც სახელმწიფო ხომ ვერ დაგვიჯდება! ჩვენ ვიგერიებთ ჩვენი ძალებით.

დღევანდელ მდომარეობას რაც შეეხება, ახლა გაწვიმდა და საერთოდ არ ჩანან, ერთი, ორი ცალი თუ გამოჩნდება, ეგეც გაჩიჩინებულები. სიცივეში თავისით კვდებიან, თუ თბილ ბუნაგში ვერ შეაღწიეს“...

გურიის მსგავსად ფაროსანას სამეგრელოს მოსახლეობაც ებრძვის, რომელთა პოზიცია და შეფასებები, არც ისე ერთფეროვანია. For.ge სოფელ ჩხოროწყუს მკვიდრს **ბადრი თოდუას** ესაუბრა, რომელმაც, ზოგადად, ხალხის განწყობა შეაფასა და კონკრეტულად მავნე მწერის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გაწეულ დახმარებაზე ისაუბრა.

„სახელმწიფო დაგვეხმარა საწამლი აპარატით და წამლით, თუმცა არიან ადამიანები, ვისაც ხელისუფლება არ მოსწონს და აქედან გამომდინარე, არც ამ დახმარებას აფასებენ დადებითად.

რაც შეეხება წამლის ეფექტურობას, მწერების ნაწილი განადგურდა, მაგრამ კიდევ დარჩა ბევრი და კიდევ მოითხოვს ღონისძიებების გატარებას“, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას ბადრი თოდუამ.

ზუგდიდის რაიონის სოფელი ორსანტიას მოსახლეობა კი დღემდე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში შესულ მავნე მწერებს ებრძვის. სოფლის მკვიდრი **ანჟელა ფარულავა** აღნიშნავს, რომ სახლში შესული ფაროსანა დისკომფორტს უქმნის ოჯახს, აბინძურებს სახლს და მასთან გამკლავება საკუთარი ძალებით უწევთ.

„მაშინ, როცა თხილი საშუალოდ 5-6 ტონამდე მოდიოდა, წელს 200 კგ-ც არ მოგროვდა. ყველაზე უარესი კი ისაა, რომ ეს მწერები სახლში შემოდიან. სოფელში სხვადასვა სახის საწამლი პრეპარატები დარიგდა, თუმცა დიდად შედეგი არ გამოუღია.

ამერიკაში ფაროსანასთან ბრძოლის 10-წლიანი გამოცდილება აქვთ და აქედან მიღებული შედეგი მხოლოდ 30% -50% -ია, ამიტომ ნურავის გვექნება ილუზია, რომ ერთხელ ან ორჯერ ჩატარებული შეწამვლითი სამუშაოები „აზიურ ფაროსანას“ გააქრობს“, — განაცხადა For.ge- სთან საუბრისას ანჟელა ფარულავამ.

* * *

შეგახსენებთ, რომ მავნებელთან ბრძოლის კუთხით არა მარტო საქართველოში, არამედ ევროპასა და აშშ-ში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. დღემდე სწავლობენ სხვადასხვა პრეპარატებს, რათა დადგინდეს ბრძოლის ყველაზე ეფექტური და სწრაფი მოგვარების გზები.

აზიურ ფაროსანას რამდენიმე თვე დასჭირდა დედაქალაქამდე მოსაღწევად. მავნებელი უკვე აღმოსავლეთ საქართველოს ემუქრება. თუკი მის წინააღმდეგ დიდი ღონისძიება არ შემუშავდა, გაზაფხულიდან პარაზიტი კახეთსა და ქართლს შეესევა და გაანადგურებს.

სურსათის ეროვნული სააგენტო ვაკის პარკში აზიური ფაროსანას არსებობას ადასტურებს. ამიტომ გამოდარების შემდეგ, ე.წ. ხაფანგები მთელი თბილისის მასშტაბით განთავსდება. გამოიკვლევენ ტყე-პარკებსაც, რათა დაადგინონ, არის თუ არა აზიური ფაროსანა სხვა უბნებშიც.

სურსათის ეროვნული სააგენტო უფროსის მოადგილე **ზურაბ ჩეკურაშვილი** აცხადებს, რომ აზიური ფაროსანა დასავლეთ საქართველოდან თბილისში საავტომობილო ტრანსპორტის მეშვეობით მოხვდა. ტემპერატურის დაწევასთან ერთად, მავნებელი საცხოვრებელ სახლებში შევა. ლიპარტია მოსახლეობას მოუწოდებს, მექანიკურად ებრძოლონ მავნებელს და არ გამოიყენონ ქიმიური ნივთიერებები.

სააგენტოს ცხელ ხაზზე ფაროსანასთან დაკავშირებით, სულ 45 ზარი შევიდა. ჯერჯერობით კი აზიური ფაროსანა მხოლოდ ვაკის პარკში გამოჩნდა.

მას შემდეგ, რაც თბილისში გავრცელებული მწერის წარმომავლობა დადასტურდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროში სპეციალური შეხვედრა გაიმართა. მინისტრი **ლევან დავითაშვილი** სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებსა და დარგის სპეციალისტებს შეხვდა. შეხვედრაზე მავნებლის გავრცელებასთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე იმსჯელეს. ლევან დავითაშვილის თქმით, სახელმწიფო ახდენს ყველა იმ რესურსის მობილიზებას, რაც ქვეყანაში არსებობს.

„აზიური ფაროსანა ერთი კონკრეტული უწყების მოსაგვარებელი საკითხი არ არის, პროცესში თითოეული მოქალაქე უნდა ჩაერთოს“, — აღნიშნა დავითაშვილმა.

საქართველოს მთავრობამ კი სხდომაზე დაამტკიცა განკარგულება „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“. მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებს სურსათის ეროვნული სააგენტო სამი ძირითადი მიმართულებით განახორციელებს. სააგენტო მსოფლიოს წამყვანი ენტომოლოგების რეკომენდაციების გათვალისწინებით, სრულმასშტაბიან მონიტორინგს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩაატარებს.

„დასავლეთ საქართველოში განისაზღვრება მავნებლის გავრცელების არეალი და დადგინდება ქიმიური შესხურების ზუსტი თარიღი. ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე კი, მონიტორინგი მავნებლის შესაძლო გავრცელების შესასწავლად ჩატარდება. მონიტორინგის ფარგლებში, დაგეგმილია, აგრეთვე, სპეციალური დამჭერი ხაფანგების (ფერომონების) განთავსება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო შეისყიდის შესაბამის პრეპარატს და ტექნიკას, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს. მოსახლეობას ჰექტარ-ნახევარს სახელმწიფო საკუთარი სახსრებით შეუწამლავს, 5 ჰექტარამდე ფართობის მფლობელებს კი, პრეპარატი გადაეცემა“, — განმარტავენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში.

თბილისში კი პარკებისა და ბაღების ქიმიური დამუშავება მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით წარიმართება. სპეციალისტების თქმით, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის პრეპარატების გამოყენება საცხოვრებელ სახლებში დაუშვებელია. სააგენტოს წარმომადგენლები დედაქალაქის მოსახლეობას დამატებით რეკომენდაციებს მიაწვდიან.

ერთი რამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ აზიური ფაროსანა ადამიანისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და დაავადების გადამტანი მწერი არ არის. მავნებელი, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო კულტურებს ანადგურებს, თუმცა მან შეიძლება, დიდი ზიანი მიაყენოს მთლიანად მწვანე საფარს.

ალა ისპირიანი,
ბექა დანელია

ავარიული სახლების უცნობი სტატისტიკა

დედაქალაქში ავარიული სახლების რეაბილიტაციის შესახებ დაპირებას თბილისის მეროების ყველა კანდიდატი გასცემს. ამ დროს კი ოფიციალური მონაცემი, თუ რამდენი სახლია თბილისში ავარიული და ნგრევის პირას მისული, დედაქალაქის მერიაში არ მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე იმ შენობების რაოდენობა, რომლებიც ინგრევა და აღდგენას საჭიროებს.

„თბილისში ავარიული სახლების ზუსტი რაოდენობა დღემდე დათვლილი არ არის“

თბილისში ავარიული შენობები არა მარტო ძველ უბნებში, არამედ გარეუბნებშიც არის, თუმცა რამდენი, უცნობია. „კომერსანტს“ დედაქალაქის მერიაში განუცხადეს, რომ ავარიული სახლების ზუსტი მონაცემი არ აქვთ. „ახლა არ გვაქვს ზუსტი მონაცემი, თუ რამდენი სახლია ავარიული დედაქალაქში“, — განუცხადეს „კომერსანტს“ თბილისის მერიაში.

არადა, თბილისის მერიას ეს ინფორმაცია როგორც წესი, უნდა ჰქონდეს, მითუმეტეს, რომ აქ საქმე ეხება არა მხოლოდ ავარიული სახლების, არამედ იქ მცხოვრები ადამიანების სიცოცხლეს.

„კომერსანტისთვის“ მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ავარიული შენობების შესახებ არსებული მონაცემი გახდა ცნობილი. თბილისის განვითარების ფონდის ინფორმაციით, თბილისში 1800-მდე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, აქედან დაახლოებით 300 რეაბილიტირებული, ხოლო 1500 სარეაბილიტაციო. ასევე ისტორიულ ქალაქში არის სხვა ღირებული შენობები, რომელთაც ძეგლის სტატუსი არ გააჩნიათ და არის ავარიული, ასეთი შენობების რაოდენობა 5000— მდეა.

„თბილისში ავარიული სახლების უმრავლესობა ნგრევის პირასაა მისული“, — აცხადებს საკრებულოს დეპუტატი მანუჩარ მაჩაიძე. დეპუტატის აზრით, ყველაზე მეტად დაზიანებული სახლები, რომელიც გამაგრება-აღდგენას არ ექვემდებარება თბილისის ძველ უბნებშია. მაჩაიძე აღნიშნავს, რომ **„თბილისის მასშტაბით ავარიული სახლების ზუსტი რაოდენობა დღემდე დათვლილი არ არის“.**

აღნიშნულ პრობლემაზე საუბრობს ურბანისტი **ლადო ვარდოსანიძეც** და აღნიშნავს, რომ ავარიული შენობების უმრავლესობა წლებია, ხელშეუხებელია და მას სასწრაფოდ რესტავრაცია სჭირდება.

„ძირითადად, ავარიული სახლები ძველ თბილისშია. გამოვყოფდი სოლოლაკსა და კლდისუბანს, თუმცა ბოლო პერიოდში იქ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. ქვეყანას ყველაფრის ერთბაშად აღდგენის რესურსი არ აქვს“, — აღნიშნა ვარდოსანიძემ.

ლიკა გურაბანიძე

ქართული ღვინის კვირეული

საქართველოს სხვადასხვა ქალაქში ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, „ქართული ღვინის კვირეული“ აღინიშნა. კვირეული მარნეულში, როგორც ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის არქეოლოგიურ კერაში, „ქართული ღვინის ფესტივალით“ გაიხსნა.

სტუმრებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მიესალმნენ. ფესტივალს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ანდრო ასლანიშვილი დაესწრო, რომელმაც სიტყვით მიმართა ფესტივალის მონაწილეებს.

ფესტივალის მსვლელობის დროს საწნახელში დაიწურა ყურძენი, სტუმრებმა თავი მოხადეს ქვევრს და დააგემოვნეს ღვინო, გაიმართა შეჯიბრი ქართულ ტრადიციულ ჭიდაობაში, მოეწყო ქართული ღვინის, თაფლის, ყველისა და სხვა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა.

კვირეულის ფარგლებში, თბილისში, საფესტივალო აქციაც: „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე 2017“ გაიმართა, სადაც ბოლო წლების მანძილზე ხელმოხვეჭილმა თუ დამწყებმა მარნებმა თავიანთი ღვინოები წარმოადგინეს. ღონისძიებაზე წარმოდგენილი 40-მდე ღვინის მარნის 200-მდე დასახელების ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობა ათასობით სტუმარმა შეძლო. აღნიშნული ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“ 2016 წელს პირველად ჩატარდა და დიდი ინტერესიც გამოიწვია.

„ქართული ღვინის კვირეულს“, ბუნებრივია, არც კახეთი გამოკლებია. ფესტივალმა კახეთის ფარგლებში, გურჯაანში აიღო სტარტი. წარმოდგენილი იყო, როგორც ოჯახური, ასევე 50-ზე მეტი დიდი და მცირე მარნის მიერ წარმოებული ღვინო.

ღონისძიების სტუმრებს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი სამანიშვილმა** მიმართა და გურჯაანის ღვინის ფესტივალის დაფუძნება მიულოცა.

„ძალიან სასიხარულოა, რომ გურჯაანიც შემოუერთდა ღვინის კვირეულს. უკვე მეოთხე წელია, ვატარებთ საქართველოს მასშტაბით „ქართული ღვინის კვირეულს“. თავდაპირველად ჩავატარეთ ქართული ღვინის დღე, რომელმაც შემდგომში კვირეულის სახე მიიღო, რადგან მოსახლეობას, მევენახეებს, ღვინის დამფასებლებს აერთიანებს სურვილი, რომ რთველის დასასრული, ეს შესანიშნავი პერიოდი ყველამ ერთად იზეიმოს“, — განაცხადა გიორგი სამანიშვილმა.

გურჯაანის შემდეგ კვირეულმა კახეთის დედაქალაქში, თელავში, სახელწოდებით „თელავინო 2017“ გადაინაცვლა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო



დიდი და მცირე მარნების მიერ წარმოებული 100-მდე სხვადასხვა ტიპის, ფერისა და ასაკის ღვინო, ჭაჭა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელები.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, ღონისძიების სტუმრებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გიორგი ხანიშვილი** და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე **გიორგი სამანიშვილი** მიესალმნენ. მინისტრის მოადგილემ კახეთის რეგიონის მოსახლეობას 2017 წლის წარმატებული რთველი მიულოცა.

„ქართული ღვინის კვირეულმა“, რომელიც უკვე მეოთხედ ჩატარადა, „თბილისობის“ დღესასწაულიც მოიცვა. რიყის პარკში შემოდგომის ნობათის გამოფენა-გაყიდვა გაიმართა. ზემოაღნიშნულ გამოფენაზე სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით წარმოდგენილი იყო 15-მდე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია.

ღვინის კვირეულის ფარგლებში ღვინის ბარში „პოლოფონია“ გაიმართა დეგუსტაცია „Wine Feeling“, ხოლო დოკუმენტური ფილმის ჩვენება ღვინის მაღაზიაში „8 000 მოსავალი“ მოეწყო.

თბილისის „ივენთ ჰოლში“ გამართულ საზეიმო ცერემონიაში გამოვლინდა საუკეთესო წინანდალი, მუკუზანი, ხვანჭკარა, ქვევრის თეთრი ღვინო, ქვევრის წითელი ღვინო, საფერავი, უსახელოური, ჭაჭა და სულ 14 კატეგორიაში გამარჯვებული ღვინოები. კონკურსში ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების თითქმის ყველა საწარმო მონაწილეობდა, მათ შორის, მცირე მარნები.

კონკურსის პროფესიული ჟიურის წევრები ენოლოგები და სომელიეები, „სახალხო ჟიურის“ წევრები საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები იყვნენ. პროფესიული ჟიურის თანათავმჯდომარეები იყვნენ სტივენ სპურიე, ცნობილი ბრიტანელი ღვინის ექსპერტი, ჟურნალ „დეკანტერის“ კონსულტანტ-რედაქტორი, საფრანგეთში ღვინის აკადემიის და ქრისტის (Christie's) ღვინის კურსების დამფუძნებელი, ღვინის წიგნების ავტორი და შალვა ხეცურიანი, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი.

კონკურსის მხარდამჭერია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო.

ქართული ღვინის მე-4 ეროვნული კონკურსის საზეიმო დაჯილდოებაზე დასახელდა საქართველოს სომელიეთა ასოციაციის მიერ დაწესებული „ქართული ღვინის ორდენის“ სამი კავალერი. ერთ-ერთი მფლობელი ღვინის ეროვნული სააგენტო გახდა „საქპატენტთან“ და საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთად ბორდოში გამოფენის „საქართველო — ღვინის აკვანი“ ორგანიზებისთვის. ორდენი გადაეცა ასევე სტივენ სპურიეს, ჟიურის თანათავმჯდომარეს და „ახალი ღვინის ფესტივალს“, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს ღვინის კლუბია.

თათია ტუხაშვილი

ფერმერებს შემოსავალი გაუორმაგდათ

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და კარტოფილი საერთაშორისო ცენტრს შორის არსებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, მხარეები მავნებელ დაავადებებისადმი გამძლე ჯიშების კარტოფილის სათესლე მასალის წარმოების, მოსავლიანობის გაზრდის და დივერსიფიკაციის ერთობლივი კვლევების პროექტზე მუშაობენ, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

როგორც „კომერსანტს“ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან აცნობეს, ერთობლივი განხორციელებული პროექტების გაცნობის მიზნით კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის (CIP) წარმომადგენლები სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების საცდელ-სადემონსტრაციო ბაზებს, წილკანსა და ჯიღაურაში ესტუმრნენ. წილკნის ბაზაზე სტუმრებმა ინ ვიტრო ლაბორატორია და ორანჟერიები დაათვალიერეს, კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის მიერ გადმოცემული კარტოფილის 78 კლონის განვითარებას დააკვირდნენ და საქართველოში მეკარტოფილეობის მდგომარეობაზე ზოგადი ინფორმაცია მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კარტოფილის წარმოება მზარდი ტენდენციებით ხასიათდება. წელს ფერმერებმა უხვი მოსავალი მიიღეს და მეზობელ ქვეყნებში, კარტოფილის ექსპორტის ოდენობაც გაზარდეს. საქართველოში კარტოფილის წარმოების დიდი წილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე მოდის და ქვეყნის მთლიან წარმოებაში 64%-ს შეადგენს, რაც კარტოფილის წარმოების მაღალი მაჩვენებელია. წელს ექსპორტზე გატანილმა კარტოფილმა 35 ათას ტონას გადააჭარბა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7-ჯერ არის გაზრდილი. მაღალი ხარისხის პროდუქციაზე მოთხოვნა შიდა ბაზარზეც დიდია. ფერმერების თქმით, ექსპორტისა და შიდა ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას ფასების გაორმაგება მოჰყვა, რამაც მათი შემოსავალი 2-ჯერ გაზარდა.

რამდენიმე წელიწადში სერტიფიცირების სრულყოფილი სისტემა ამოქმედდება. კანონი თესლის სერტიფიცირების შესახებ უკვე ძალაშია და დაწყებულია რამდენიმე ფერმერული მეურნეობის ნებაყოფლობითი სერტიფიცირება. ეს კი, ფერმერებს ეხმარებათ, რომ ხარისხიანი სათესლე მასალა გამოიყენონ და ხარისხიანი პროდუქტიც მიიღონ.

სტუმრებმა ჯიღაურას ბაზაზე ვენახისა და ხეხილის საკოლექციო ნაკვეთებიც დაათვალიერეს და ქართული იშვიათი ჯიშებისგან დაყენებული ღვინოები დააგემოვნეს.

აღსანიშნავია, რომ კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის მიზანია განვითარებად ქვეყნებში სიღარიბის დაძლევა, ბუნებრივი რესურსების დაცვა, კარტოფილის კულტურების განვითარების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს კვლევას და ინოვაციებს მეცნიერებაში, ტექნოლოგიებში და სხვა შესაძლებლობების განვითარებაში.



ფაროსანამ საბავშვო ბაღებს შეუტია

აზიური ფაროსანას გამო, ბათუმის ყველა საბავშვო ბაღმა მუშობა შეწყვიტა. ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების განმარტებით, მიზანი აღსაზრდელების უსაფრთხოების დაცვაა, რადგან დაგეგმილია ეზოების სპეციალური ხსნარებით დამუშვება. ბავშვების მიღება ბაღებმა სამ დღეში უნდა განაახლონ.

„მშობლების საყურადღებოდ! ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება აზიური ფაროსანას საბავშვო ბაღში აღმოჩენის შემდეგ ღებულობს პრევენციულ ზომებს და ბათუმის საბავშვო ბაღებში სამი სამუშაო დღით 16, 17, 18 ოქტომბერს წყვეტს საალმზრდელო პროცესს. მწერის გასანადგურებლად შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებით ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური სპეციალური ხსნარებით დაამუშავებს და შეწამლავს საბავშვო ბაღების ეზოებს. სამი დღით საალმზრდელო პროცესის შეწყვეტა აღსაზრდელების უსაფრთხოების გამო გადაწყდა“ — წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ნატალია ზაქარეიშვილი. ამავე მიზეზით რამდენიმე დღის წინ საალმზრდელო პროცესი შეწყდა 23-ე საბავშვო ბაღში. როგორც მოისმინეთ, ბაღები მუშაობას 19 ოქტომბრიდან გააგრძელებენ.

ქართული სიტყვის გორელი მეცხოვნე

შენ მკითხველს უყვარხარ!..



70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ვანო გაიოზის ძე ჩხიკვაძე.** ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ვანო!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო თანამოკალმევ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ მეტად მნიშვნელოვან, კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1966 წელს შედგა, როდესაც ალმანახ „ლიახვში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ ნახევარ საუკუნეზე მეტი გასულა და ამ ათწლეულებმა ცხადყო, რომ თქვენი შემოქმედება, მრავალწახნაგოვანი და უაღრესად საინტერესო შემოქმედება, თანამედროვე ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად იქცა.

პოეზია, პროზა, დრამატურგია, საბავშვო ლიტერატურა, პუბლიცისტიკა – აი, მწერლობის ის ჟანრები, რომლებსაც რწმენით და ერთგულებით ემსახურებით და თუ მსახურებაზე მიდგა საქმე, უპირველესად ევტერპეს – ლირიკის მუზის მსახური ბრძანდებით. დიახ, ქართულ პოეზიას თქვენი სახით მართლაც რომ ბრწყინვალე წარმომადგენელი ჰყავს, რომელმაც უკვე მოასწრო ღრმა კვალის გავლება და საკუთარი ნიშის მოძებნა პოეზიის საუფლოში...

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ნათდება“, „ორნი სინათლის წრეში“, „გადაფრენა“, „მტრედი ეკლესიის გუმბათზე“, შემოდგომის ბილიკი“, „გაზაფხულია, მარიამ“, „ღმერთო, მათქმევინე“, „ძველი ხიდი“, „ერთტომეული“, „ავტოპორტრეტი ძველ ჩარჩოში“, „მგზავრი“. ამ კრებულების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, რომლის შთაგონების წყაროდ ქართლი ქცეულა, ქართული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი, გაზაფხულის ღვთაებრივი წვიმით განმანილი, მწვანეში გაშოტილი ხარი. აქ გორიჯვრისა და უფლისციხის სანახებიდან იღებს სათავეს თქვენი თავანკარა პოეზია, აქ აათავთავებთ ხოლმე ყველა იმ მადლსა და სიწმინდეებს, რითაც სავსეა თქვენი ნააზრევი. დგახართ ლიბომორღვეული ეკლესიის წინ და მოსვენებას არ გაძლევთ ფიქრი იმაზე, ამაოდ ხომ არ დაშვრა ხრმალთა ჟღერანი, ძლევის სიმღერა – მარადისი მხმობელი ქართა. სევდამორეული შეჰყურებთ ლამის ნისლში გაუჩინარებულ გადარეულ ცხენჯოხებს, რომლებიც არყოფნისაკენ მიაგელვებენ ჩვენს ბავშვობას. ალბათ, ამიტომაცაა, რომ სიკვდილი კი არა, სიცოცხლე გაშინებთ და აღარც კი იცით, სად შეაფაროთ თავი, როცა თეთრი, ქათქათა კრამიტი მობეზრებული წვიმების გამებს იმეორებს...

მკითხველს, როგორ ახლობელ ადამიანს, ისე ესაუბრებით სიყვარულზე, სიწრფელეზე, ღალატზე, გაუტანლობაზე და, რაც მთავარია, მარდიულ სევდაზე თქვენი საესავი სამშობლოს მომავლის გამო. შენარჩუნებული გაქვთ აღტაცებისა და გაოცების ბავშვური ნიჭი. მუდმივად პოეტური ფორმის დახვეწისა და სრულყოფისკენ, პოეტური სახეებით აზროვნებისკენ ისწრაფვით.

პოეტური სახეებით აზროვნება თქვენი პროზაული ნაწარმოებების თანამდევი ორიენტირადაც იქცა. თქვენი პროზაული კრებულები („ორი კაცი“, „ჩიტები ზამთარში“, „ექო“, „წიგნში ჩამარხული ყვავილის სევდა“, „ორი რომანი“, „ზამთრის წიგნი“, „კოხტა თამრო“, „სადღაც ნისლების ბოლოში“, „მთაში მიცვალებულთათვის“, „იყო“, „თქვენი სვლაა, ბატონო“, „შუშების რომანი“...) პოეტური პროზის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს; გულმართლად ხატავთ ტიპებსა და ხასიათებს, ხატავთ ქართულ სოფელს მისი შუქ-ჩრდილებით, ხატავთ ადამიანური სიკეთითა და სითბოთი, ჯერ კიდევ გწამთ, რომ ადამიანს ძალუძს დაძლიოს თავის სულში ჩაბუდებული უკეთურობანი და ქვეყანას გამოადგეს... რა მართლად და ობიექტურად, მწერლური დამაჯერებლობით მოგვითხრობთ უშობელის სველი ფერდივით აკანკალებული ქართლის შესახებ, რომლის თავზეც ორლესული მახვილივითაა დაკიდული ათასი ჭირი თუ სატკივარი. ამის დასტურია თუნდაც თქვენი „შუშების რომანი“, 2008 წლის ტრაგედიას რომ ეხება.

თქვენი პიესები („მდინარის შესართავთან“, „ქურდი“, „ბლეფი“) წარმატებით დაიდგა გორის სახელმწიფო თეატრში.

ქართველი ბავშვები გატაცებით კითხულობენ თქვენს საყმაწვილო კრებულებს („გილოცავთ“, „კარნავალი უღრანეთში“, „დათუნიას მაღვიძარა“, „ჯაბა-ჯუბა“...)

არაერთი მხატვრული ნარკვევის, პუბლიცისტური სტატიისა თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის ავტორი ხართ.

გვახარებს, რომ თქვენი საუკეთესო ქმნილებანი თარგმნილია ფრანგულ, ლატვიურ, პოლონურ, გერმანულ, სომხურ, რუსულ, უკრაინულ, ლიტვურ, ყაზახურ, ბულგარულ ენებზე, შეტანილია პოეტურ ანთოლოგიებში.

სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთების „ნორჩი ლენინელისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტმუშაკად, საქართველოს ტელევიზიის სატელევიზიო თეატრის რედაქტორად, გორის პრეფექტის მოადგილედ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად და კულტურის, ჯანდაცვის, განათლების, სპორტის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

თქვენი მრავალწლოვანი უაღრესად მნიშვნელოვანი და ფასეული საქმიანობა სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ საქართველოს ეროვნული, საქართველოს კომკავშირის, საქართველოს მწერალთა კავშირის, ჟურნალ „ომეგას“, „საბას“, „პენ-მარათონი 2003-ის“, საერთაშორისო ასოციაცია „კვალის“, ლიტერატურული კონკურსის „წეროს“, მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემიები, ქრისტიანული პოეზიის მეორე ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვრის“ მთავარი პრიზი; დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, თბილისის მერიის სიგელით, იაკობ გოგებაშვილისა და მაყვალა მრევლიშვილის მედლებით; არჩეული ხართ გორის საპატიო მოქალაქედ.

ძვირფასო ვანო!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას კოლეგას, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი,
„საქართველოს რესპუბლიკის რედაქცია“

„...თხემით ტერფამდე ქართველი მწერალი ხარ და ქართული სულიერების მეცხოვნედ დგახარ მანდ, ჩვენი ძველი ციტადელის – გორის ციხის მახლობლად. მითქვამს და გავიმეორებ: ყველაზე დიდი მადლი სამშობლოსათვის გაღებული მადლია. შენ სწორედ ამისთვის იღვწი: „მამული, ენა, სარწმუნოება“ გინთია სულის სანთლად!

ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს!

ღმერთმა აგისრულოს შენი ოცნება და ჩანაფიქრი!

შენი ძმა – ჭაბუა ამირეჯიბი-ბერი დავითი

* * *

„რაც შეეხება გამარჯვებულ ნაწარმოებს, ის არის დასტური ქართული ლიტერატურის დიდი გამარჯვებისა, „კოხტა თამრო“ გახლავთ ნამდვილი შედევრი, მისი ავტორი კი ჩვენი უსაყვარლესი პიროვნება, მწერალი ვანო ჩხიკვაძეა“.

ვახუშტი კოტეტიშვილი

* * *

„მხატვარი რომ ვიყო, ვანო ჩხიკვაძის პორტრეტს სწორედ ასე დავხატავდი – გულთან მიტანილი ხელით.

ეს უღალატო კაცის ხელია.

მას შეიძლება თამამად ენდო და დაეყრდნო.

ისე, როგორც ანა კალანდაძე დაეყრდნო „თიბისი ბანკის“ კიბეებზე, როცა „საბა“ ერთდროულად მიიღეს.

იოსებ ჭუმბურიძე

* * *

„ვანო ჩხიკვაძე ჩვენი თაობის ავანგარდში იყო, არა მარტო კარგი ლექსებით, არამედ კაი ბიჭობით, ადამიანური სითბოთი, სიკეთითა და გულწრფელობით“

დავით მჭედლური

* * *

„ვანო ჩხიკვაძის ნაწერს როცა ვკითხულობ, ლექსი იქნება ეს თუ მოთხრობა, ჩემში მუდამ რაღაც მშობლიური იღვიძებს. ერთხელ უკვე განცდილი და მისი ნაწერით ამოტივტივებული. მე ვხედავ ქართლს, მე ვხედავ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთვის ასე მშობლიური და ასე ახლობელი არიან“

გივი გეგეჭკორი

* * *

ვანო ჩხიკვაძეს ასეთი ფრაზებიც აქვს: „მე ჯერჯერობით დამარცხებული ქვეყნის შვილი ვარ. ვიქცევი და ვწერ ისე, როგორც ჭირისუფალს ეკუთვნის.“ ეს სიტყვებიც მისი ლექსების, მოთხრობების გაგრძელებაა. იმ შინაგანი ომის გაგრძელებაა, რაც ყოველი ქართველის სულში ბობოქრობს.“

ბორენა ჯაჭვლიანი

* * *

„ვანო ჩხიკვაძე არ გვთავაზობს პატრიარქალურ სიმყუდროვეში ჩაფლული სოფლის სულს. ეს უკვე უაღრესად თანამედროვე, შინაარსშეცვლილი და შეშფოთებული სოფელია.“

ჯანსუღ ღვინჯილია

ვანო ჩხიკვაძე

ქაშუეთი – გუდიაშვილის ფრესკა

მარიამო, გაბმით რეკავს
ქრისტეშობის ზარებს გული –
ყრმა იესო მერცხალია
ხელში შეფრთხიალებული.

მარიამო, უნანავებ
მოჟღურტულე ცეროდენას,
ჯერ არ იცი, რომ ჯვარცმა და
ცრუ ამბორი ელოდება.

ჯერ არ იცი,
კაცთა მოდგმა
სულს მოითქვამს მისი ლოცვით,
გაივლის და ფეხისგულებს
დედამიწა დაუკოცნის.

შეეჩეოლდება ნატერფალიც
იორდანეს ნაპირებთან,
როცა შესძრავს ქვესკნელსა და
ზესკნელს შენი დატირება...

ჯერ კი მამა უფალი დგას
ვარსკვლავების რიკულებთან
და ფრესკიდან, ბედნიერი,
დედა ღვთისა იყურება.

* * *

ღობეებიდან ყეფენ ვარდები,
წითლად დაფურცლულ ტოტებს გვიქნევენ,
მხრებს უცაბედი თოვლი ადნება,
ალუბლისა და ტყემლის ფიფქების.

შენი თვალების სხივი წკრიალებს,
ასე მოწვეთავს სიტკბო ფიჭიდან
და მე ბავშვური ხელი კი არა,
თითქოს იების კონა მიჭირავს.

ო, რა ახლოა ცრემლის ციმციმი,
აგორებული ელდა ჭორების,
დაისადგურებს როცა სიცივე
გულის გატეხვის და განშორების.

ნუ მკითხავ, ის დღე საით გაფრინდა,
ან კარი რატომ გამოგვიხურეს –
ფანჯრის ჩარჩოდან – იმ სურათიდან
ორი დამჭკნარი ვარდი მიყურებს.

* * *

ვადაზე ამოტვიფრულო
დაუვიწყარო სახელო.
დიდი წინაპრის ნაქონო,
ორლესულივით ნაფერო.

წინაპრის გულს რაც მდუღრავდა
ის ჯავრი არ ჩამაყოლო.
შენთვის ტანჯვა რომ მადროვე, –
მადლობელი ვარ, ბატონო!

გამხნევდი, მეც გამამხნევე,
ზარები უნდა დავრეკოთ,
შავ ცხენზე ამხედრებულო,
ამღერებულო შავლეგო.

სადაც მჭირდება იქა ხარ,
ბოლოს სამარის ფიქალო,
შენს ხელში როგორ მოვკვდები,
კიდეც რომ გარდავიცვალო.

სიტყვავ, ქართულო ჯავარო,

ძილშიც ფხიზელო ბატრონო,
მუხლს გიდრეკ, შენი წყალობის
გარეშე არ მიმატოვო —

მადლობელი ვარ, ბატონო!
მადლობელი ვარ, ბატონო!

ჯგუფური სურათი

ბაღში, მაჩაბლის ცამეტის,
ვინც იცის სიტყვის ფასი,
კვლავ შეიკრიბა დაშლილი,
ხნიერ მწერალთა დასი.

თანდათანობით მოქუჩდნენ,
ამ მრავლისმნახველ ბაღს ხომ
ახსოვს მელექსე ტრიბუნიც,
მკვლელი ტრიბუნიც ახსოვს.

გახურდა სალამ-ქალამი,
ხვევნა-კოცნა და კაფია.
დროს განურჩევლად, ყველანი
ჭაღარით დაუდაფნია.

ვიღაცა ენაკვიმატობს —
საქმეს დროულად მორჩი,
ფოტოგრაფ, ჩაგვაკარტიჩკე,
თორემ დავიწვით დროში!

რაც იყო, წარსულს ჩაბარდა —
მითქმა-მოთქმა და მითი,
კარგა ხანია, პაოლომ,
ჩახმახს გამოჰკრა თითი.

სკამებზე უნდა ჩავრიგდეთ,
თორემ დაიწყებს ავდარს —
ჩვენგან სხვა რაღა დარჩება,
კალმის ნაჟურის გარდა.

იქნებ არცა ღირს, ფოტოგრაფ,
შენი მცდელობა, სულაც,
ვის უნდა, ვინ შეინახავს
ჩამქრალ სახეთა სურათს.

ან მომავალი რას იტყვის —
მოდის ნგრევით და მტვრევით,
სურათს არქივში დაფარავს
მუზეუმების მტვერი.

ვიდრე სხეულში გაჯდება
გარდაუვალის ფითრი,
იქნებ დავასწროთ, საერთო
სასხლეტს გამოვკრათ თითი.

იქუხებს, წერტილს დაუსვამს
უკვდავებასთან დავას,
ჯგუფურად, როგორც მოვედით,
ეგრე, ჯგუფურად წავალთ.

მაგრამ მანამდე ტოტებში
ძველ მოგონებებს აშლის,
უკანასკნელი, ერთგული,
ბოლო გალობა შაშვის.

აბა, ვინ წინ და ვინ უკან,
გულებს გაუდით რეჩხი.
სკამებზე გათამაშდება
ბოლო სეზონის „სკეტჩი“...

ბაღი მაჩაბლის ცამეტის,
მყუდრო, წყნარი და მშვიდი,
სავარძლების და სკამების
გარინდებული რიგი.

მიჩერებული ფოტოგრაფს
გულში ბავშვივით ვითვლი:
— ერთი, ორი და სამი და...
გამოფრინდება ჩიტი!

* * *

თითქოს თავის უნებურად
გადაჭრელაჭრულებულა,
მთებზე შემოდგომის ორიმლი
დირიჟორობს ძველებურად.

გადააწყობს სიმებს ჩელო,
მოიღერა შინდმა ყელი,
ფარ-მუზარადს აჟღრიალებს
ალვა — ფიცხი ლამანჩელი.

ბებერ კედლებს მზეზე ითბობს
ჩამოშლილი სალოცავი.
საგუბარში კრთის კამკამა
სევდიანი წყაროსთვალი.

ფურცლავს ფოთლის ფოლიანტებს
მუხა აქეთ, ალვა — იქით.
და ხსოვნას აფორიაქებს
„წაბლას“ წყნარი თოხარიკი.

ძაღლების ქალაქი

მოსწონს თუ არა, ყეფა-კამათით,
გვერდიგვერდ ცხოვრობს ორი ქალაქი.

და ჰგავს ერთმანეთს ჩვენი დღეები
ერთფეროვნების ვაქცინით აცრილს —
გათენებისას, სანაგვეებთან
ვინ ვის მიასწრებს,
ძაღლი თუ კაცი.

წუთისოფელი თანაბრად გვხედნის,
სხვა სადარდელი არ გვაქვს, არც გვინდა,
მადლიერები ვიქნებით ბედის
ამ მძიმე ზამთარს თუ გადავიტანთ.

აქაც ებრძვიან ძაღლები ძაღლებს,
აქაც ჩაგრავენ ძველები ახლებს.

თუ გასაყოფი მსუყე ძვალია,
აქაც არ დათმოს, ძაღლის ვალია.

და მაინც, ცუგა,
შენ მაინც სხვა ხარ,
არ ჰგავხარ ვინც ჩემს გვერდით სახლობენ,
მადლიერებით ხელს ამილოკავ,
პურის ნატეხი თუ გიწყალობე.

გამინახევრებ დარდის სიმძიმეს,
ნდობით კუდს როცა გამიქიცინებ.

ჩვენსკენ ერთგული გული გაცივდა,
აღმერთებს მუცელს ჟინი მოქაფვის.
ვაი, სამართალს,
იმას კაცი და
შენ მაწანწალა გქვია, ქოფაკი.

მიათახთახებს, ძმას ვინც უგანა,
სავარძლისაკენ დონდლო უკანალს.

და ამიტომაც ბორკილი დავთმე,
სად დამიღამდეს, იქვე გათენდეს —
მეც მოგიწვები მყუდროში, სადმე,
ვიდრე წიხლისკვრით წამოგვაგდებენ.

ვერ მოგვაქციეს,
თუმცა კი გვმოძღვრეს,
მაინც ამათი ჯიშის არა ვართ.
უნდათ თუ არა, ჩვენ მაინც ვცოცხლობთ
და ყეფა-ყეფით მივდევთ ქარავანს.

* * *

ჩემი ქართლის სანათა
სამშობლოზე მლოცველი
დადის, დაიარება
თალხი შესამოსელით.

დარდო განუკურნელო
ყველა მხრიდან მოსულო,
ახლა მაინც გაბრწყინდი
ვიდრე დედა ლოცულობს.

სანთელს მოუმყუდროვებს
ქარმა რომ არ ჩაუქროს.
დგება მუხლისთავებზე
და უფალთან საუბრობს.

მგრძნობიარე, კეთილი,
დადის ფეხაკრეფილი...



„ფრანგი ჟურნალისტი: როგორ აფასებთ პასტერნაკის პროზას?
მიხეილ შოლოხოვი: მე ასეთ პროზაიკოსს არ ვიცნობ.
ფრანგი ჟურნალისტი: პოეზიას?
მიხეილ შოლოხოვი: მე ასეთ პოეტს არ ვიცნობ.
ფრანგი ჟურნალისტი: მაშინ ვინ არის პასტერნაკი?
მიხეილ შოლოხოვი: პასტერნაკი შესანიშნავი მთარგმნელია.“

„თარგმანი ხელოვნებაა.“
ნ. ლიუბიმოვი.

გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების თბილისის გაერთიანებამ ათიოდე წლის წინათ გამოსცა ცაკლე წიგნად გოეთეს საყოველთაოდ განსმენილი ლექსის (“ღამის მგზავრის სიმღერა“) თარგმანები. წიგნში დაახლოებით ასამდე თარგმანია წარმოდგენილი და არც ერთი მათგანი, გულღიად რომ ვთქვათ, არ გვაახლოებს ლექსის დედანთან. არადა, ამ მცირე შედეგრში თითქოს მეტად მარტივი აზრია გადმოცემული.

ღამის მგზავრის სიმღერა

ყველა მწვერვალზე სიმშვიდე სუფევს,
არ ირწევიან ხეთა კენწეროები,
ტყეში ჩიტები განაბულან,
მოიცა ცოტაც (მალე) შენც დამშვიდდები.
(მწკარედული თარგმანი
დალი ფანჯიკიძისა)

აი, ეს მწკარედი ჯობია ჩემი გაგებით წიგნში ლექსად წარმოდგენილ თარგმანებს. ესე იგი, რა გამოდის? პოეზია უთარგმნელია? თუ დიდი პოეტის ნახელავი ასევე დიდმა პოეტმა უნდა გადმოიღოს? ეს სიტყვა „გადმოიღო“, დავით წერედიანმა დაიკანონა. „სვანურიდან გადმოიღო დავით წერედიანმა“, — ასეთი მინაწერი ახლავს ჩინებული ქართველი მთარგმნელის მიერ გადმოღებული სვანური ხალხური ლექსების კრებულს.

გალაკტიონი რომ დიდი პოეტია, ყველამ ვიცით. ახლა კი გავსინჯოთ, თუ როგორი მთარგმნელია იგი.

მგზავრის სიმღერა

ვ. გიოტედან
სიმშვიდეში თვლემს
მწვერვალები მთის,
ქარი არა სცემს,
ფოთოლი არ თრთის,
მოსვენების ჟამს
მისცემია ტყეც,
მოითმინე წამს,
მოისვენებ შენც.

გოეთეს ლექსი ნელა, მშვიდად მიედინება. და მთავარი აქცენტი სწორედ სიმშვიდეზეა გადატანილი. რაც ლექსში ორგზის არის ნახსენები, თავში და ბოლოში. („სიმშვიდე სუფევს,“ „შენც დამშვიდდები.“) გარემო-ბუნება ძილში მიემართება, ძილში შედის (ღამეა, რაც გამოტოვა გალაკტიონმა), და ამ სურათის შემსწრე პოეტი ნატრობს, ნეტავი მეც ასე დამამშვიდაო (დამაძინაო?).

არავის არ სძინავს ისე არეულად,
როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს.

ჰ. იაშვილი

არ ეძინა, არეულად ეძინა მსოფლიოს უპირველეს მოჭადრაკეს პოლ მორფს, რომელსაც ერთხელ მოეჩვენა, რომ ხემ ხეს ქიში გამოუცხადა.

გალაკტიონის თარგმანი კი, თუმცა პოეტი გვეუბნება: „ფოთოლი არ თრთის“, — თრთის, ნერვიულობს. ისეთი რიტმი აქვს შერჩეული, რომ მის გამომთქმელს სიმშვიდე ნამდვილად არ უწერია. და ეს ვერ იგრძნო რიტმების ჯადოქარმა პოეტმა, ვერ მიგვაახლოვა გოეთეს გუნება-განწყობასთან და საკუთარი გუნება-განწყობა გადმოგვიშალა, რაც ასე თუ ისე გასაგებია ჩვენებური მკითხველისთვის. რიტმი და სიტყვები გადაემტერნენ ერთმანეთს. ვერ შეთანხმდნენ, დაირღვა ჰარმონია და ვერ შეიქმნა პოეზია. გადმოიღო პოეზია, მაგრამ ვერ გადმოიღო რიტმი, (ჰანგი), თუმცა რიტმის გადმოღება სწორედ ისეთი უნდა, მან რომ იცის.

ხლებნიკოვი:
Там, где жили свиристели,
Где качались тихо ели,
Пролетели, улетели
Стая легких времирей,

გალაკტიონი:
ქარი დაცხრა სიბობოქრის,
შავი ზღვიდან სიო მოჰქრის,
მე გიყურებ როგორც ოქროს,
ჩამავალ მზეს, ჩამავალს.

მუსიკის თარგმნა შეიძლება?

მაგრამ მივუბრუნდეთ შეკითხვას: მაინც და მაინც დიდმა პოეტმა უნდა თარგმნოს თუ არა დიდი პოეტი? ანუ, რა არის თარგმანი, ვინ არის მთარგმნელი?

საამისოდ მაჩაბელი რომ არ შევაწუხოთ, ან კიდევ „ვისრამიანის“ გენიოსი მოქართულე, თანამედროვეობაში ჩავიხედოთ.

მოვიგონოთ დავით წერედიანისეული „სვანური ხალხური ლექსები“, ვიიონის „დიდი და მცირე ანდერძი“, „უცხოური საყმაწვილო ლექსები“, ალმათ, უკვე გასრულებული „ფაუსტი“, მოვიგონოთ თამაზ ჩხენკელისეული ბო ძიუ-ის „ლექსთა კრებული“, თაგორის „გიტანჯალი“, ფროსტის „ღობის შეკეთება“, ლორკას „სხვისი ცოლი“, და კიდევ არაერთი მისეული თარგმანი, და გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: ენათესავებიან თუ არა ჩვენი დიდებული მთარგმნელები საკუთარი შემოქმედებით იმათ, რომელთა ნახელავებსაც ასე ბრწყინვალედ აქართულებენ? ამ შეკითხვის პასუხის უფლება მივანდოთ მკითხველს და ჩვენ ახლა ეს წავიკითხოთ:

ჩემს მდარე ლექსებს, კედლებზე
მიწერილს,
კაცთა მოდგმისთვის არა აქვს ფასი,
ნიშანთა მწკრივი დაფარა მტვერმა
და ჟამთასვლისგან მოედო ხავსი.
მხოლოდ იუანი, ხელმწიფის კაცი,
სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს ეძებს,
არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს,
აშორებს მტვერს და კითხულობს
ლექსებს.

იხ. 8 გვ.

რა არის თარგმანი... ვინ არის მთარგმნელი...

(ვეფვიდე გვერდიდან)

ეს ტანის ეპოქელი (მე-8ს.) ჩინელი პოეტის ლექსია, მაგრამ ახლა ჩემი ლექსიცაა და რა უშლის ხელს ამ ლექსის გადმომქართულებელს, რომ თავადვე შექმნას ასევე მიმზიდველი პოეზია? ნიჭი? ტალანტი? ინტელექტი? ეს ყველაფერი ხომ ჩვენს უეგზრო მთარგმნელს იმდენი გააჩნია, რომ სხვებსაც გაეყოფა?

მე ვამბობ: **დაბადება.**

ზოგი იბადება პოეტად, ზოგი მთარგმნელად.

პოეტი ბო ძიუ-ი დაიბადა მე-8 საუკუნეში.

მთარგმნელი თამაზ ჩხენკელი - მე-20 საუკუნეში.

იბადება-მეთქი.

ან ისეთი რა ცოდნა-განათლება-ინტელექტი გააჩნდა „რამ დამაბერას“ გამომთქმელს, რომ თავისი განსაცვიფრებელი ნახელავი თავად რუსთველსა და ვაჟა-ფშაველას შემოუშენა?

ესე იგი, ივანე წიკლაური პოეტად დაიბადა.

მოარული აზრით, პოეზია უთარგმნელია, მაგრამ როგორც ამ წუთას დაგვარწმუნა თამაზ ჩხენკელის ნახელავმა, პოეზიის თარგმნა შეიძლება, თუკი მისი მთარგმნელი მთარგმნელად არის დაბადებული.

„გალაკტიონის თარგმნა შეიძლება!“ – ხმამაღლა განაცხადა ერთმა რუსმა მთარგმნელმა (ლეონოვიჩმა), და კიდევაც თარგმნა გალაკტიონის მთელი ტომი, მაგრამ ვერ მიუახლოვდა დედანს. ესე იგი, ლეონოვიჩი არ არის მთარგმნელად დაბადებული.

ცხონებულმა ვენორი ქვაჩახიამ სხვა რუსი პოეტი, მეჟიროვი, ვისთანაც კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებდა, თბილისში მოიწვია, საკუთარი ჭერი დაუთმო, სურსათსანოვაგით მოამარაგა, რათა ეთარგმნა გალაკტიონის ლექსები, მაგრამ მიუხედავად პოეტისმიერი შეგონებისა Вся Грузия поможет – ვერ თარგმნა, რა მიზეზითაც ასეთი სტროფი გამოთქვა:

И вновь из голубого дыма
Встает поезия... она
Вовеки не переводима
Родному языку верна.

როგორც ვხედავთ, ამ გამონათქვამით მთარგმნელი თავსაც იმართლებს და ჩვენც გვიტოვებს თავმოსაწონარს, რაც სინამდვილეს და სიმართლეს არ შეეფერება.

გოეთე ამბობს: თუკი დედანი მოიცავს პოეზიის ნიმუშს, სულერთია, მას პროზით, რითმით თუ ურითმოდ გადაიღებენ, პოეზია მაინც შენარჩუნდებაო.

გოეთე ამბობს, გავუსვათ ხაზი.

პასტერნაკი წუხს, ყველაზე დიდი თანამედროვე პოეტი ვერ ვთარგმნეო, გალაკტიონი იგულისხმა, ცხადია.

პასტერნაკმა ვერ თარგმნა, ვერც სხვამ თარგმნა. ვერ თარგმნა ახმადულინამ, ანკი როგორ უნდა ეთარგმნა ქართველი პოეტი ამ კალთამადლიან ქალს, გურამ ასათიანს რომ კინტო უწოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გალაკტიონი უთარგმნელია. მოვა სხვა დრო, სხვა მთარგმნელი და გალაკტიონს გადათარგმნის.

ბო ძიუ-ი 12 საუკუნე ელოდა თამაზ ჩხენკელს.

გონგორა ახლა წაიკითხეს.

რუსთაველი ჯერაც არ არის წაკითხული. აგერ 850 წელი შეუსრულდა, მშობლიური(მშობლიური?) მთავრობა კი ყურებს არ აპარტყუნებს. ვიცით, „ვეფხისტყაოსანი“ მრავალ ენაზეა გადათქმული, მაგრამ ეს არ არის რუსთაველი. „ბევრი რამე არის, მაგრამ ეს არ არის საქართველო.“ დრო მოვა და რუსთაველის მთარგმნელიც დაიბადება. თუმცა შევცდი და ეგ არის. უცოდველი ვინ არის, მე რომ ვიყო. აგერ, ახლახან, ჩვენმა დიდებულმა ლიტერატორმა და მეცნიერმა ზურაბ კიკნაძემ თვალსაჩინოდ გამოარკვია და დაგვარწმუნა, რომ „ვეფხისტყოსანი“ კონგენიალურად გადაიღო ებრაულ ენაზე ცხონებულმა ბორის გაპონოვმა (სკოლებში ასწავლიან).

შექსპირს მაჩაბელი გამოუჩნდა, ბო ძიუ-ისა და თაგორს – თამაზ ჩხენკელი. ვიიონს – წერედიანი. ერთიც არის: მაჩაბელმა და წერედიანმა იციან დედნის ენა. ჩხენკელმა არ იცის, მაგრამ იცის, უცოდნელად იცის. თუ დაკვირვებიხარ, ძვირფასო მკითხველო, ჩინელი პოეტის ლექსთა კრებულზე დართულ პორტრეტს და ერთი წამით მაინც თუ შეგიდარებია მისი მეორე მეს პორტრეტისთვის? არ შეგიდარებია? შეადარე და მიხვდები, თუ რატომ ალაპარაკდა 12 საუკუნის შემდეგ ჩინელი პოეტი ქართულად, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მარხვის ჟამი მიილია უკვე,
ღვინო მენატრება ისევ.
სახლის კარიბჭეზე ვიღაც აკაკუნებს
ადრე, გამთენიის პირზე.
ლან-ჯის გარდა, კართან
ძლივს რომ მოათრია ღვინით ავსებული ბოცა,
უთენია განა სხვა ვინ იფიქრებდა
ჩემთან საქეიფოდ მოსვლას.

კახეთში ხომ არა ვართ?

„დონ კიხოტი“ ყველა ენაზეა თარგმნილი და ყველასია, საყოველთაოა, როგორც პური.

ვიქტორ ნოზაძემ თამაზ ჩხენკელისეულ „გიტანჯალს“ უმშვენიერესი უწოდა.

მთარგმნელი ხიდია, ენასა და ენას შუა გამდგარი, მაკავშირებელი, ხიდი გვაჩვენებს, რა როგორ უნდა იყოს. მაგალითად, ენგურის ხიდი აერთებს საქართველოსა და აფხაზეთს. ჭკვიანი ხიდი, ბრძენი ხიდი.

ამ ხიდების სახელებია: მაჩაბელი, ქიქოძე, სახოკია, ჩხენკელი, ბრეგვაძე, წერედიანი, გაპონოვი... დაბადებით მთარგმნელები, ხიდის მშენებლები.

გოეთეს ერთი ლექსის მრავალი მთარგმნელიც ხიდის მაშენებელი ჭიანჭველაა. „ჭიანჭველები აგებენ ციხეს,“ აშენებენ, ცდილობენ, ერთი ბოლოდან მეორე ბოლოში გადატყორცნონ, ანუ მშენებლობა მიმდინარეობს. სასწაული გამონათქვამი მაგონდება. ბეკეტი ამბობს: მამა-უფალს ჯერხნობით სამყაროს მშენებლობა არ დაუმთავრებიაო. აი, ეს ხიდი კი უკვე ბოლომდეა მიყვანილი:

Горные вершины
Спят во тьме ночной,
Тихие долины
Полны свежей мглой,
Не пылит дорога,
Не дрожат листы...
Подожди немного,
Отдохнешь и ты,

გოეტედანო, კი აწერია, მაგრამ სავარაუდოა, რომ გალაკტიონმა ალბათ ლერმონტოვისეული თარგმანიდან გადმოიღო გოეთეს ლექსი.

რუსი პოეტის საფიქრალ-საღონარი „დაროგაა“, რუსეთი ვრცელია. გერმანია საგრძნობლად მცირე, და აქ პოეტების გუნება-განწყობა გაიყო. ლერმონტოვმა გვანახა რუსული პეიზაჟი, არ გვანახა გერმანული ფილოსოფიური პეიზაჟი, რაც მარტო თვალისთვის არაა გათვალისწინებული. გოეთე მეტს ხედავს, ვიდრე თვალი. იგი თითქოს ბუნების სურათს აღწერს, მაგრამ გადმოგვცემს იმას, რასაც თვალი ნაკლებად ევლება. „ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი.“ გოეთე სულის თვალით აღიქვამს ბუნებას, და ბუნების შინამოს უხამებს საკუთარ შინამოს, ბუნებაში შედის(უნდა რომ შევიდეს) და ბუნებად გარდაისახოს. აქედან გამომდინარე, მისი ლექსი თავად ხდება ბუნება, ანუ მთელი სამყარო, სოფელი და ზესთასოფელი. მთელ სამყაროს კი როგორ შეიცნობ, თუკი „ფაუსტის“ ავტორი არა ხარ. ესე იგი, ეს ლექსი ჯერჯერობით უთარგმნელია. მაგრამ ითარგმნება, როცა მისი მთრგმნელი დაიბადება, არა თუ გოეთეს მთარგმნელი, დროთა განმავლობაში გამორიცხული არაა, რომ თავად გოეთეზე დიდი პოეტი დაიბადოს. წარსული დიდია, მაგრამ ღვთის განგებით(ბეკეტი ხომ გვახსოვს?), მომავალი წარსულზე მეტია. ჩვენ კი, როგორც ჩანს, იქაც არა ვართ, სადაც არის გოეთე, ჩვენ, ესე იგი, მისი მთარგმნელები.

ჩემს მწუხარებას გაიგებდა ტაო-ძიანი,
მაგრამ სხვადასხვა საუკუნეს დავიბადენით.

ტაო ძიანი, ანუ ტაო იუან-მინი მე-4 საუკუნეში დაიბადა.

ბო ძიუ-ის დარდი, რომ მე-4 საუკუნეში არ გაჩნდა, გაუქმდა, მისი გამგები 12 საუკუნის შემდეგ მე-20 საუკუნეში დაიბადა.

მაგრამ თუ ასე მივყევით და ასე ვიმსჯელეთ, შეიძლება ენაც გაგვიშრეს და ხილის გემოც ვერ ვიგემოთ. ამიტომ ერთი სული მაქვს, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ და კიდევ ერთხელ წავიკითხოთ, ძვირფასო მკითხველო, საქართველოს თავისუფლებისთვის მსხვერპლად შეწირული ყმაწვილი-პოეტის, გიორგი ძიგვაშვილის მიერ გადმოქართულებული ეს შედევრი:

უცხო კაცთან მე ისეთი მხდალი ვარ,
გვერდით როგორ დავუწვები, სერ,
მე ისეთი პაწაწინა ქალი ვარ,
ხომ სირცხვილით დავიწვები, სერ.

დედამ კაბა შემიკერა ლამაზი,
წითელ-ყვითელ საკინძებით, სერ,
ხომ დაჭმუჭნით, ხომ წახდება სამოსი,
თქვენ რომ გვერდით დაგიწვებით, სერ.

აგერ, ქარმა ამოჰყარა ფიფქები,
ფოთოლიც კი არ ჩანს მწვანე, სერ,
გაზაფხულზე უფრო დიდი ვიქნები,
მოდი, მაშინ წამიყვანე, სერ.

ასეთი გახლავთ გენიალური ლექსის გენიალური მთარგმნელის მიერ გაშენებული შოტლანდია-საქართველოს გამაერთიანებელი ხიდი.

მრავალნაირია ხიდი. დიდი და პატარა, რკინის ხიდი, ბეტონის ხიდი, ტინის ხიდი, ჯაჭვის ხიდი, ბონდის ხიდი, საცალფეხო ხიდი... ამ ხიდთაგან ზოგი ისეთი ხიდია, რომ არანაირ შეკეთებას(რემონტს) არ საჭიროებს.

მაგონდება ალექსანდრე საჯაიას მიერ მშვენივრად გადმოქართულებული „ანებელ ლი“.

ზვიად გამსახურდიას მიერ თარგმნილი ამერიკელი პოეტები.

პაოლო იაშვილმა პუშკინის ხიდზე გაიარა. მისმა ნაბიჯებმა აქა-იქ ისეთივე ხმა გამოსცა, როგორ ხმასაც გამოსცემდა თავად იმ ხიდის აღმშენებლის ნაბიჯები.

Прибежали в избу дети...
შემოვარდა ქოხში ცეტი...
Последняя туча рассеянной бури...
ნაბოლარა ღრუბელი ხარ გადაკარგულ ქარის...

ხიდად ქცეულ მაგალითებს(თარგმანებს) რა გამოლევს. მაგრამ ეს ერთი ხიდი-თარგმანი რომ არ მოვიხილო, არ იქნება.

თ. ტიუტჩევის ეს ლექსი ამ ნახევარი საუკუნის წინათ ახალდაარსებულ ალმანახ „ცისარტყელაში“ გამოქვეყნდა.

ფოთლები

დე, ფიჭვებმა და ნაძვებმა აქ გაატარონ ზამთარი,
მათ როდი უჭირთ გაძლება, როდი აშინებთ ავდარი.
თუ მათი ცივი სიმწვანე, ზღარბის ეკლებს რომ მიაგავს,
არ იცნობს კვდომის სიმწვავეს, ვერც აყვავდება ნიადაგ.
ჩვენ ვართ მსუბუქი გვარ-ტომის, ჩვენ სტუმრები ვართ რტოების,
ხეებს ვკიდივართ დანდობით, მაგრამ ვშრიალებთ დროებით.
ასე გავლიეთ ზაფხული, ვალამაზებდით მთა და ბარს...
ზეცამ მანანა გვაპკურა, მზე დაგვნათოდა თანაბარ...
მაგრამ წასულან ჩიტები, აღარსად ჩანან იანი,
მთებს გაუხუნდა ჩითები, გადაიკარგა ნიავი,
და ჩვენც ასეთი კარგები, ამაოდ რატომ ვქანაობთ?
ჩვენც მათთან დავიკარგებით, დავედევნებით თანაო!
ო, ქარიშხალო ფრთიანო, აქეთ ისწრაფე მალიად!
ხეებზე უქმად ფრიალი მოსაწყენია ძალიან!
გვინდა, რომ შენთან ვიაროთ, გიცდით, გელით და ვღონდებით,
დაჰბერე, ქარო ძლიერო, თან გაიყოლე ფოთლები!

თარგმნა შოთა ჩანტლაძემ

როდესაც მოთხრობის დაწერა მინდა, ლერმონტოვის “ტამანს“ ვკითხულობო, ამბობს ბუნინი.

როდესაც ლექსად გამოსათქმელი სიტყვები მეზუზუნებიან, შოთა ჩანტლაძის ამ თარგმანს ვეწაფები.

რამდენი რამ შეიძლება ითქვას თარგმანზე.

რამდენი რამ თქმულა.

რამდენი ითქმება.

თარგმანი ამდიდრებს მშობლიურ ენას.

თარგმანი აახლოებს სხვადასხვაენოვან მკითხველებს.

პოეტი მასპინძელია, მთარგმნელი – სტუმარი.

“ყორანის“ ავტორი ფრანგმა მთარგმნელმა გააცნო მსოფლიოს.

“რომ არა ქართველი პოეტები, პასტერნაკი ისეთი პოეტი ვერ დადგებოდა, როგორსაც ვიცნობთ.“(ნ. ლიუბიმოვი).

მურმან ჯგუბურია

P. S.

„ნიჭიერი მესიტყვის მიერ თარგმნილი წიგნი მთარგმნელს ორიგინალურ ნახელავად რომ ჩავუთვალოთ, მას უეჭველად მდარე ნაწარმოებად მივიჩნევთ. მაგრამ თუ იმავე ნაწარმოებს (წიგნს) მივაწერეთ: თარგმანი, გამორიცხული არაა, გენიალურ ნაწარმოებად ვაღიაროთ.“

(მ.პრუსტი, “გერმანტებთან“).

ასეთი ნიშნის (კოდის) მატარებელია სიტყვა თარგმანი, ანუ ის, რაც ჩვენი კი არ არის, არამედ ეკუთვნის სხვას.

მსგავსი ხერხი გამოიყენა პროლეტარიატის ბელადის კუბოსთან წარმოთქმულ სიტყვებში სტალინმა: „მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა დაგვიბარა, და კიდევ და კიდევ, მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა დაგვიბარა, და მისთანანი და მისთანანი.... რათა უფრო დამაჯერებელი და სარწმუნო გაეხადა თავისი სათქმელი, მე კი არ ვამბობ ამას, ლენინი ამბობს, ლენინმა დაგვიბარაო.

რომანი „გერმანტებთან“ პარიზში 1920 წელს გამოიცა. ბელადი 1924 წელს გარდაიცვალა. მე არ ვიცი, წაკითხული ჰქონდა თუ არა სტალინს პრუსტის რომანი, მაგრამ ცხადია, რომ თავისი სათქმელი თარგმანად წარმოაჩინა.

P. P. S.

ახლა მეჩვენება, რაც აქ ვილაპარაკე, არაფერია იმასთან შედარებით, ამ წუთას რაც გავიფიქრე. თარგმანი (თარგმნა) ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში გადასვლას, საზღვრის გადალახვას, საბაჟოს გავლას მაგონებს, სადაც ცოტა რამ მაინც თუ არ დატოვე, არ გაგატარებენ...

და ბოლოს:

მე აქ ვისაუბრე მხოლოდ პოეტური ნაწარმოებების გადმოქართულებაზე. არაფერი მითქვამს პროზის გადმოღებაზე. ახლა ვამბობ: მე ამ სამი ათეული წლის წინათ ცალკე ესე მივუძღვენი გენიალური რაბლეს ტყუპისცალი მთარგმნელს, ბატონ გურამ გოგიაშვილს, რომელმაც მისივე ტერმინი რომ მოვიშველიოთ, ისე გადმოაენა „გარგანტუა და პანტაგრუელი“, რასაც ანალოგი, ალბათ, საუკუნეების განმავლობაში ვერ მოეძებნება, ანუ, როგორც პოეტმა თქვა: „გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს“. ამიტომაც ვამბობ: ჩვენ ხელთ გვაქვს სულხან-საბას მარადჟამს საკითხავი წიგნი „ლექსიკონი ქართული“. იგივე ითქმის გოგიაშვილისეულ „გარგანტუა და პანტაგრუელზე“, ანუ ქართული ენის ზეიმსა და დღესასწაულზე.

მ. ჯ.

სასწაულმოქმედი დასტაქარი

სიმსივნე ოქროს ხელმა დაამარცხა

ლექსო ლაგვილავა

ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც სნეულის განკურნება შეუძლია. მკურნალი მკურნალია — გამოხედვით, ღიმილით, სიტყვით, და ეს სიტყვა ნუგეშია. ექიმმა სხვისი სიცოცხლე უნდა გადაარჩინოს ათასგვარი დაავადებებისგან, ამიტომაც ჰქვია მას მკურნალი-ექიმი, რომელსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ ავადმყოფს სიცოცხლის რწმენა შთაუნერგოს, სიხალისე შეჰმატოს და ფიზიკური, თუ გნებავთ, სულიერი ტკივილები ცოტახნით მაინც დაავიწყოს, შეუმსუბუქოს სნეულების განცდა, ტანჯვა-წამება, მაგრამ ეს ყველაფერი დიდი ენერგიის, ცოდნის, უძილობის, ავადმყოფის სარეცელთან გათენებული ღამეების ფასად. მახსენდება სულიკო ჟღენტისა და რეზო ჩხეიძის ფილმი „ჯარისკაცის მამა“, საავადმყოფოს დერეფანში მძიმე ნაბიჯებით მოსიარულე ქირურგი, რომელიც ეს წუთია საოპერაციოდან გამოვიდა... სახეზე ეტყობა, მძიმე ოპერაცია გაუკეთა ავადმყოფს, სიმწრის ოფლი მოიწმინდა, სკამზე ჩამოჯდა და ჩაეძინა. უმძიმესი ხვედრია ქირურგი სკალპელით ხელში, საოპერაციო მაგიდასთან მდგომი, რეალური სპექტაკლი, რომელიც თამაშდება ექიმებისა და მედდების თანამონაწილეობით, მწარე ხვედრი, სიკვდილისა და სიცოცხლის ჭიდილი, რომელი გაიმარჯვებს? რას იზამთ, ასეთია ბუნების კანონი, ყველაფერი ხომ ღვთის ნებაა. არადა, ექიმობა — დასტაქრობა კეთილშობილური პროფესიაა. ერთ ადამიანს მრავალი ადამიანის სიცოცხლე აბარია. ცნობილი ქირურგის ეგნატე ფიფიას შვილიშვილი გოგა ფიფია ადამიანებს ღიმილით კურნავდაო, ამბობენ. პეტრე სარაჯიშვილის ერთ-ერთი რეცეპტი ასეთი შინაარსისა იყო: მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლებზე დასწრება! ე.ი. თეატრალური ხელოვნება დიდი სამკურნალო საშუალება იყო სნეულთათვის. და მაინც, ადამიანის ბედ-იღბალი ზეცაში წყდება. ვის რა განსაცდელს მოუვლენს უფალი, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის.

გალის რაიონის სოფელ ოტობაიას მკვიდრი, ბატონი ონერი გაბელია სწორედ რომ სიკვდილს გადარჩა. ქართველ კაცს უშრომელად რა გააჩერებს, ამიტომაც გადაწყვიტა დასავლეთის ოქროს საბადოს, თხილის აღების პროცესში თანამონაწილეობა, სამი დღის მანძილზე საკმაოდ დაიტვირთა, იმდენად რომ, ამ სიმძიმემ მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა, ცუდად იგრძნო თავი, უმალ მეზობლებს შეატყობინა. აღმოჩნდა, რომ წნევა ჰქონია დავარდნილი, რამაც ძლიერი სისხლისდენა გამოიწვია, მიუხედავად სასწრაფო დახმარების დიდი მცდელობისა (ექიმები ბატონი დათო ტაბაღუა და ქალბატონი ლიანა ხაჯალია ამაოდ ცდილობდნენ სისხლდენის შეჩერებას), მდგომარეობა გართულდა და საჭირო შეიქმნა ზუგდიდის საავადმყოფოში გადაყვანა. კეთილი ადამიანების მონდომებით პაციენტი გადაიყვანეს და, ჰოი საოცრებავ, სისხლის ოთხმოცი პროცენტი დაკარგული აღმოჩნდა!

ექიმების დროულმა ჩარევამ სისხლდენა შეაჩერა, მიზეზთა მიზეზი კუჭის სიმსივნე იყო. დრო აღარ იცდიდა, მეორე დღეს რეანიმობილით ქირურგის ეროვნულ ცენტრში, ქირურგიულ განყოფილებაში მოათავსეს. ყველაფერი გამართლებაზეაო, ამბობენ. ბატონ ონერის აქაც გაუმართლა და გულისხმიერი ექიმის, ქირურგიის ცენტრის დეპარტამენტის უფროსის, ბატონ ლექსო ლაგვილავას ხელში აღმოჩნდა. ირგვლივ უიმედო განწყობილება სუფევდა, არავინ ელოდა პაციენტის გადარჩენას, ოპერაცია რვა საათს გაგრძელდა, შედეგმაც არ დააყოვნა და წარმატებით ჩაიარა. ადამიანი კუჭის გარეშე დარჩა, ნაწლავი საყლაპავ მილს მიაკერეს. თითქოსდა დაუჯერებელია, მაგრამ რეალობაა ასეთი სასწაულმოქმედება.

როგორც უწმინდესი და უნეტარესი ქადაგებისას ბრძანებს: „სინერგია, ღვთისა და ადამიანის ნება შეერთდა და კაცი ცხოვრების ორომტრიალს დაუბრუნდა“. ექიმების ყველაზე დიდი პრემია ავადმყოფის მადლიერების გრძნობის გამოხატულებაა. მადლიერებისა, რომელსაც სიცოცხლის წამის შენარჩუნება ჰქვია. ონერი გაბელია ბედნიერია, მზის სინათლეს რომ უყურებს, ოჯახის წევრებისა და მეგობართა თანადგომას გრძნობს.

დიახ, ექიმობა ყველაზე მძიმე ტვირთია, ოპერაცია ოქროს სკალპელით გაკეთდა. ეს იყო მართლაცდა დიდი გამარჯვება, სიმსივნე ოქროს ხელმა დაამარცხა, ეს იყო უნიკალური ოპერაცია, ქართველის ხელით შესრულებული. არადა, ქართველები უცხოეთში გავრბივართ ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად. ხომ გაგიგონიათ „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“.

ე.წ. საზღვარი ხუთ წუთში იკეტებოდა, რუს მესაზღვრეებთან საერთო ენის გამონახვა გაჭირდა, არადა, სიცოცხლე წამიერია, წამი წამში ჩაჯდა და სასწაული მოხდა! ამ ამბიდან თითქმის ოთხმა წელმა განვლო. ბატონი ონერი დღეს ფესვმაგარია და ჩვეულებისამებრ განაგრძობს ცხოვრებას. ძველთაგან თქმულა: „კარგია, რომ მსოფლიო არ არსებობს კეთილი ადამიანების გარეშე“.

ამაყნი ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებს და უდიდეს საქმეს უხმაუროდ აკეთებს ქირურგიის ეროვნული ცენტრის ქირურგიული დეპარტამენტის მედიკოსთა დასი.

ჯემალ გაგელია,
სამართლის დოქტორი,
პროფესორი

◎ ჩვენი კარაბადინი

უნამლოდ თავის შველა

როგორ მოვიქცეთ, როცა მედიკამენტები ხელთ არა გვაქვს

ჯანმრთელობასთან დაკავშირებით მოულოდნელად წარმოშობილი პრობლემების გადასაწყვეტად, ყოველთვის საჭირო როდია წამლების ბღუჯებად სმა. ძალიან ბევრ შემთხვევაში საუკეთესო შედეგი, რომ იტყვიან, მამაპაპური საშუალებების გამოყენებას მოსდევს. კერძოდ:

პანიკური შიშის შემოტევისას: რომელიც ზოგჯერ ვეგეტოსახსრული დისტონიით დაავადებულებს ემართებათ, რა დროსაც კაცს სული ეხუთება, მისი გამკლავება იოლად შეიძლება, თუკი ცელოფნის ან ქაღალდის პარკში ჩასუნთქავს. საქმე ისაა, რომ როცა ადამიანი საკუთარი ჰაერით სუნთქავს, ნახშირმჟავას გაზი სასუნთქ ცენტრებზე მასტიმულირებლად მოქმედებს. ამასთან, აუცილებელია ნევროპათოლოგს მიმართოთ.

კრუნჩხვისას: უფრო ხშირად კრუნჩხვა ფეხის კუნთს ემართება. ამ მდგომარეობის შემსუბუქება შეიძლება ცერა თითის მტკივან კუნთზე დაჭერით. კიდევ ერთი ხერხია მისი ძლიერად დაზელვა.

თუკი კრუნჩხვა წყალში მოგივიდათ, შეეცადეთ, მოიხაროთ, ტერფს ხელები ჩასჭიდოთ და შემდეგ თქვენკენ მოქაჩოთ. შორეული გაცურვის ბევრი მოყვარული საბანაო კოსტუმზე ქინძისთავს იბნევს, რომლის რამდენჯერმე ჩხვლეტით კრუნჩხვის მოხსნა შეიძლება.

არ დაგავიწყდეთ: თუკი კრუნჩხვები მოგდით, თერაპევტს მიმართეთ, რადგან ამას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის ვენების ვარიკოზული გაფართოება, ხერხემლის მალებშუა თიაქარი, ასევე მიკროელემენტების (კალციუმის, კალიუმის, მაგნიუმის, რკინის) ნაკლებობა.

ჰიპერტონიული კრიზისის დროს: სისხლძარღვთა ტონუსის შესამცირებლად შეიძლება სათბურას (ან მდოგვის საფენის) სისხლძარღვებზე (ან კეფაზე) მიდება, ანდა ცოტა ხნით ფეხების ცხელ წყალში ჩაყოფა. თუკი ამან არ გიშველათ, აუცილებლად საჭიროა სასწრაფო დახმარების გამოძახება.

არ დაგავიწყდეთ: მიმართოთ თერაპევტს, საჭიროების შემთხვევაში კი კარდიოლოგსაც.

თავბრუსხვევის დროს: თუკი ტრანსპორტში ყოფნისას იგრძნობთ, რომ გული მიგდით, ფეხები გადააჯვარედინეთ და რამდენჯერმე მკვეთრად რიტმულად დაძაბეთ მუცლისა და თეძოების კუნთები. ეს ხელს შეუწყობს ქვედა კიდურებიდან თავში სისხლის მიწოდებას.

თუკი გულის წასვლის მოახლოებას ქუჩაში იგრძნობთ, ცალ მუხლზე ჩაჯექით ისე, თითქოს ფეხსაცმლის ზონარს იკრავდეთ, ანდა ცალი ფეხი რაიმე ამაღლებაზე დადგით.

არ დავიწყდეთ: მიმართოთ ნევროპათოლოგს, საჭიროების შემთხვევაში კი ოტონევროლოგსაც.

ტაქიკარდიის დროს: აჩქარებული გულისცემისას, რომელიც

მშვიდ მდგომარეობაში წუთში 120 დარტყმაზე მეტია, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქეთ, სუნთქვა შეიკავეთ, შემდეგ რამდენჯერმე ჩაახველეთ, ანდა ენის ფუძეზე თითის დაჭერით გული აირიეთ. ეს მოხეტიალე ნერვს აღაგზნებს, რომელიც გულის შეკუმშვათა რიცხვს შეამცირებს. თუკი ტაქიკარდიამ არ გაგიარათ, აუცილებელია ექიმთა ბრიგადის გამოძახება.

არ დაგავიწყდეთ: მიმართოთ კარდიოლოგს.

მაღალი სიცხის დროს: შეიძლება გაგრილების მეთოდების გამოყენება, მათ შორის ნამიანი ღრუბლით ტანის მობანა, მსხვილ სისხლძარღვებზე (იღლიებში, საზარდულისა და კისრის არეებში) ცივი საფენების დადება. მდოგვის საფენებსა და ქილებს ამ დროს უნდა მოერიდოთ.

ძლიერი სტრესის დროს: მოდუნებაში სწორი სუნთქვა დაგეხმარებათ. მსუბუქად („ერთის“ დათვლაზე) ჩაისუნთქეთ და ღრმად („ორი-სამი“ დათვლაზე) ამოისუნთქეთ. ამ დროს ჩასუნთქვისას მუცელი გამობერეთ, ამოსუნთქვისას კი შეწიეთ. სუნთქვის ამ ტიპის გამოყენებისას (სპეციალისტები მას დიაფრაგმულს უწოდებენ), უმჯობესდება ფილტვებისა და გულის სისხლით მომარაგება, ასევე იხსნება შიდა დაძაბულობა.

არ დაგავიწყდეთ: მიმართოთ ფსიქოთერაპევტს ან ფსიქიატრს (მით უმეტეს აპათიის, ჭარბი გამღიზიანებლობის, ძილის დარღვევის, მომატებული მადის, ანდა, პირიქით, უმადობის შემთხვევებში).

სლოკინისას: ეცადეთ, სუნთქვა შეიკავოთ, სცადეთ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქოთ და 10-15 წამის განმავლობაში ნუ ისუნთქებთ. ჩვეულებრივ, სამ-ოთხჯერ ასეთი მოქმედების შემდეგ სლოკინი გადის. ეფექტს აძლიერებს ის გარემოება, თუკი ჩასუნთქვის შემდეგ ამოსუნთქვას ძალიან შეანელებთ. მეორე მეთოდია ძალიან ნელა, ოღონდ შეუჩერებლად, პატარ-პატარა ყლუპებით ჭიქა ცივი წყლის დალევა.

არ დაგავიწყდეთ: მიმართოთ გასტროენტეროლოგს, რადგან ზოგ შემთხვევაში სლოკინი შესაძლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სხვადასხვა პათოლოგიის შედეგი იყოს.

თავის ტკივილისას: თავი დაიზილეთ მსუბუქი, ნაზი შეხებით, თითები შუბლიდან კეფაზე, თხემიდან ყურებზე, შემდეგ კისერზე გადაიტანეთ. თავის ტკივილს ასევე დაგიამებთ შუბლსა და საფეთქლებზე დადებული ცივი კომპრესი.

არ დაგავიწყდეთ: მიმართოთ ნევროლოგს (იმ შემთხვევაში, თუკი თავი რეგულარულად გტკივდებათ).

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

◎ ხელბურთი

მთავარი პრიზი – მასპინძლებს

2002-2003 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა დასავლეთ საქართველოს შვიდი გუნდი და მელიტოპოლის (უკრაინა) ნაკრები მონაწილეობდა რონ მეტრეველის მემორიალში, რომელსაც წყალტუბომ უმასპინძლა.

ადგილობრივმა „პრომეთემ“ ზედიზედ სძლია სამტრედიას (26:19), ხელვაჩაურს (31:14), ქუთაისს (29:14), მელიტოპოლს (31:25) და 8 ქულით მთავარი პრიზი მოიპოვა. 6 ქულით მეორე ადგილზე უკრაინელები გავიდნენ. 5-5 ქულა მოაგროვეს ბათუმისა და სამტრედიის გუნდებმა. მათი ორთაბრძოლა ფრედ – 16:16 დამთავრდა. ზღვისპირელებს ბურთების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდათ და მესამე ადგილიც მათ ერგოთ.

თამაზ პატარიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

„ბათუმი“ იტალიაში გაემგზავრა



გუშინ საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა ბათუმმა გეზი იტალიისკენ აიღო, სადაც დღეს თბილისის დროით 17 საათზე ევროპული რაგბის კონტინენტის ფარზე ადგილობრივ „როვიგოს“ შეხვდება.

სამი წლის წინათ „ჩელენჯ ქაფის“ შესარჩევ ტურნირზე ქართული კლუბების ნაკრებმა – „თბილისის კავკასიელებმა“ ითამაშა და ორრაუნდიანი ფლეი ოფი იმავე „როვიგოსთან“ დათმო; უფრო ადრე (2003-2004 წლებში) „ბათუმი“ „რეგიონთა თასზე“ გამოდიოდა, თუმცა, ამ დონის ტურნირზე ქართულ კლუბს ჯერ არასდროს უთამაშია.

„ქართული რაგბის განვითარებისთვის ზღვისპირული კლუბის ევროტურნირებში მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. შარშან ჩვენ ვიცე-ჩემპიონები გავხდით და მადლობა ბათუმის მერიას, რომ ქვეყნის სახელის ევროტურნირში დაცვის საშუალება მოგვეცა. „ბათუმი“ ევროტურნირში 13-14 წლის წინაც თამაშობდა, მაგრამ მისი დონე ამ ტურნირთან ახლოსაც ვერ მივა. არა მხოლოდ ჩვენს კლუბში, არამედ მთელს ქალაქში უდიდესი მოლოდინია და გვაქვს იმედი, რომ ევროპაში ჩვენს სიტყვას ვიტყვით“ – ამბობს კლუბის დირექტორი **ზვიად უნგიაძე**.

ევროტურნირზე გათვლით ზაფხულში კლუბმა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრანსფერი განახორციელა – „ლელო-სარასენსიდან“ დაიმატა „ბორჯღალოსანთა“ მგეზავი ლაშა ხმალაძე, ასევე მეორეხაზელი სანდრო ქოიავა; ჩემპიონი „ჯიქიდან“ – ბექა მამრიკიშვილი; „არმიადან“ – ბექა ურჯუკაშვილი; ხოლო საფრანგეთიდან დააბრუნა ხვიჩა ბუჯიაშვილი. მიუხედავად ამისა, უნგიაძის თქმით, გუნდმა სათანადო შევსება ვერ მიიღო.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ღირსეული სტარტი

ევროლიგა დიდებულად დაიწყეს ესპანურმა „უნიკახამ“ და გიორგი შერმადინმა. მალაგელებმა საკუთარ მოედანზე მოქმედი ჩემპიონი სტამბოლის „ფენერბახჩე“ ძალზე დაძაბულ მატჩში დაამარცხეს – 68:67.

გადამწყვეტი მეოთხე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „უნიკახამ“ რვა ქულის სხვაობით მოიგო და სწორედ ამის ხარჯზე შეძლო თურქული გრანდის ძლევა.

თავის მხრივ, ესპანელთა გამარჯვებაში უდიდესი როლი შეასრულა ჩვენებურმა – ქართველი საკუთარი გუნდის რიგებში საუკეთესო გახლდათ და ყველაზე შედეგიანიც: 14 წუთი, 12 ქულა, 4 მოხსნა, 1 დაფარება და 13 მარგი ქმედების კოეფიციენტი. აღსანიშნავია, რომ „უნიკახას“ რიგებში 10-ქულიან ზღვარს შერმადინის გარდა, ვერავინ გადასცდა. გიორგი სასტარტო ხუთეულში გახლდათ.

მან რვიდან 5 ორქულიანი გამოიყენა, ხოლო საჯარიმოები უშეცდომოდ ესროლა: ორიდან ორი.

„უნიკახა“ ევროლიგაში მომდევნო მატჩს 20 ოქტომბერს პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ სტუმრად ჩაატარებს. ბერძნებმა „ბასკონიას“ 75:64 მოუგეს. თორნიკე შენგელიამ 13 ქულა მოაგროვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

დღეს თბილისური დერბია

სანაკრებო მატჩებით გამოწვეული პაუზის შემდეგ ამ დღეებში საქართველოს ეროვნული ლიგა 29-ე ტურის მატჩებით განახლდება.

ცენტრალურ შეხვედრას დედაქალაქის „დინამო არენა“ უმასპინძლებს, სადაც თბილისურ დერბიში ერთმანეთს „თეთრ-ლურჯები“ და „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდებიან. ბოლო ტურებში დინამოელები ძველებურად ვეღარ ასპარეზობენ, რის შედეგადაც უახლოეს მდევარ ქუთაისის „ტორპედოსთან“ სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. ეს ფაქტი კახა კაჭარავას გუნდის საჩემპიონო ამბიციებს საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის და, აქედან გამომდინარე, „დინამოს“ მოახლოებულ დერბიში უპირობო გამარჯვება ესაჭიროება. თავის მხრივ, კარგ ფორმაშია „ლოკომოტივი“. გიორგი დევდარიანის გუნდი წარმატებით ასპარეზობს და სამეულში მოხვედრის რეალური შანსი აქვს. რკინიგზელთა კლუბი უშუალო კონკურენტ „სამტრედიას“ მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩება. როგორც ხედავთ, შეხვედრას ორივე გუნდისთვის უდიდესი სატურნირო მნიშვნელობა აქვს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე სეზონში თბილისურ კლუბებს შორის გამართული სამი შეხვედრიდან ორი „ლოკომოტივმა“ მოიგო, ერთი კი – „დინამომ“.

მესი წასვლაზე დაფიქრდა

„ბარსელონას“ შემტევი ლიონელ მესი „ბლაუგრანადან“ წასვლაზე დაფიქრდა: The Sun-ის ინფორმაციით, არგენტინელს,

რომლის კონტრაქტიც 2018 წლის ზაფხულამდეა გათვლილი, ეჭვი ეპარება, რომ ესპანეთში უნდა დარჩეს.

მთავარ მიზეზად, რის გამოც მან ორჭოფობა დაიწყო, კატალონიაში შექმნილი პოლიტიკური სიტუაცია მოიაზრება. 30 წლის მოთამაშე „მანჩესტერ სიტისთან“ კონტრაქტის გაფორმების ვარიანტს განიხილავს, რომელიც, შესაძლოა, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში განხორციელდეს.

შეგახსენებთ, რომ ლიონელ მესი „ბარსაში“ 2000 წლიდანაა – ჯერ. 3 სეზონი ახალგაზრდულში გაატარა. 2003-2004 წლების სეზონში „ბარსელონა“ C-ში იყო, 2004-2005-ში – „ბარსელონა B“-ში, 2004 წლიდან მთავარ გუნდში გამოდის და ამ დროში 30-მდე საკლუბო პრიზი მოიგო, ხოლო 5-ჯერ „ოქროს ბურთის“ მფლობელი გახდა.

ბენზემა ბრუნდება

მადრიდის „რეალის“ ფორვარდი ქარიმ ბენზემა ტრავმით გამოწვეული უქმობის შემდეგ გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მოედანზე დასაბრუნებლად მზადაა.

ესპანური გამოცემების ცნობით, ფრანგი ფეხბურთელი დღეს ლა ლიგის მე-8 ტურში „ხეტაფეს“ წინააღმდეგ თამაშს შეძლებს.

ბენზემამ სექტემბერში, „ლევანტესთან“ მატჩის დროს კუნთი დაიზიანა და მას შემდეგ მკურნალობდა.

29 წლის თავდამსხმელმა მიმდინარე სეზონში „რეალის“ შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონატის სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა – ორჯერ ითამაშა თასზე, ერთხელ კი ჩემპიონთა ლიგაში. მის ანგარიშზე სათასო შეხვედრაში გატანილი ერთი გოლი ირიცხება.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

დებოშიორი ალექს მორგანი

ალკოჰოლისა და დებოშის სიყვარული მამაკაც ფეხბურთელებში ჩვეულებრივი ამბავია და არც არავის უკვირს, მაგრამ სულ სხვა საქმეა, როდესაც „პურიმჭამელი დებოშიორი“ ცნობილი ქალი ფეხბურთელია. სწორედ ასეთი ვინმე აღმოჩნდა ამერიკის ქალთა ნაკრების წევრი ალექს მორგანი.

28 წლის მორგანი მეგობრებთან ერთად ლუდს და ვისკის დისნეილენდის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ბარში არახრახებდა, როდესაც კონფლიქტი სრულიად უცნობ ადამიანთან მოუვიდა და კოხტად შემთვრალმა ალექსმა პირიდან ისეთი სიტყვები ამოუშვა – ყურში რო არ შეიშვება.

კონფლიქტის მიწმეები იძახიან, რომ მხოლოდ გინებით არ დაკმაყოფილდა და მამაკაცზე ხელითაც გაიწიაო, რასაც თავად მობურთალი ტყუილს უწოდებს. ეს ამბები პრობლემებს შეუქმნის თუ არა ალექს მორგანის საფეხბურთო კარიერას, არ ვიცით, მაგრამ გვარიან ჯარიმას რომ „აირტყამს“ – ცხადია.

როსტომ რაჭველიშვილი

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარანჭალას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე, ,,ილორის" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია P+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 101 355 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	აბაშის მუნიციპალიტეტი, სოფ. მარანჭალას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	13 590 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 359 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%)	6 995 ლარი
	თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 482 940 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა ბაშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	64 756 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	6475,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%)	32 578 ლარი
	თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩიხას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყვირილას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 56 700 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩიხას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	8 094 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	809,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %)	4 247 ლარი
	თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე

13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 48 981 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუა ბაშის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	6 992 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	699,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 696 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე	
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 5		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ინერტული მასალის გადასაზიდად შეარჩიოს ალტერნატიული გზა მდინარის სანაპირო ზოლის მიმდებარედ (რომლის დაზიანების შემთხვევაში მოახდენს მის რეაბილიტაციას), რათა მაღალი გამავლობის მანქანების მოძრაობამ არ დააზიანოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუამთის (სოფ. ჭყვიში) მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე, „ჭყვიშის" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია P+C$_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 136 500 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. შუამთის (სოფ. ჭყვიში) მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	18 303 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1830,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	9 352 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 6		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია -P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 839 220 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარციხის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	112 528 ლარი
9	ბიჯის სიდიდე	11252,8 ლარი

	(საწყისი ფასის 10 %)	
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	56 464 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 7	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს უსახელო ხევის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო მლეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მთიულეთის არაგვზე „ქვემო მლეთის“ ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 105 015 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო მლეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	14 081 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1408,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	7 241 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 8	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტქვარზე, „კავთისხევის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - C₁, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 42 720 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. მიქელწყაროს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	6 503 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	650,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 452 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 9	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის ”გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახაშენის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჭერმისხევის ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 30 300 მ³).

7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახაშენის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	4 612 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	461,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 506 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	3 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი № 10		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	licenses@nea.gov.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ინერტული მასალის მოპოვება უნდა წარიმართოს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით
		გათვალისწინებული მოთხოვნები; ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და ,,წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაშმის მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორზე, „ხაშმის" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია P+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 249 600 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაშმის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	33 467 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3346,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	16 934 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 16 ოქტომბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 14 ნოემბერს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

გაიზარდა მოთხოვნა საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე

წინასწარი ინფორმაციით, 2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7567.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 12.1 % მეტია. ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს. საქსტატის ინფორმაციით, საგრძნობლად არის გაზრდილი 9 თვის ექსპორტის მაჩვენებლებიც. 2017 წლის **9 თვეში** ექსპორტი წინა წელთან შედარებით 28.3%-ით გაიზარდა და 1 940.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 7.4%-ით გაიზარდა და 5 627.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის გენადი არველაძის განცხადებით, მიმდინარე წლის სექტემბერში, უმსხვილესი საექსპორტო ჯგუფებიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა: ფეროშენადნობის (97%), სპილენძის მადნების (28%), სამკურნალო საშუალებების (35%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (56%), სპირტიანი სასმელებისა (29%) და მინერალური და მტკნარი წყლების (16%) ექსპორტი.

„2016 წლის სექტემბრის შემდეგ საქართველოდან საქონლის ექსპორტის წლიური ზრდა ფიქსირდება. ექსპორტის ზრდას, საბაზო ეფექტთან ერთად, ხელი შეუწყო ჩვენს რეგიონში არსებულმა დადებითმა ტენდენციებმა. ასევე, გაზრდილია მოთხოვნა საქართველოდან ექსპორტირებულ პროდუქციაზე“, – განაცხადა გენადი არველაძემ.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თქმით, საგარეო დადებითი ტენდენცია აისახა სხვა მიმართულებებითაც, მათ შორის, ტურიზმსა და ფულად გზავნილებზე. კერძოდ, 2017 წლის 9 თვეში, საქართველოში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა 19.3%-ით, ხოლო შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან 28.5%-ით და 2 163.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. 2017 წლის 8 თვეში 19.1%-ით გაიზარდა ფულადი გზავნილების მაჩვენებელიც.

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტი იზრდება

აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა 20,1%-იანი, ხოლო ნაერთი ბიუჯეტის გეგმა 15,4%-იანი გადაჭარბებით შესრულდა. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, აჭარის რესპუბლიკური ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის გეგმა 171 მლნ 37 ათას 400 ლარი იყო, თუმცა შესრულებამ 205 მლნ 486 ათას 400 ლარი შეადგინა , ანუ გეგმა 120,1%-ით შესრულდა.

სამინისტროს ინფორმაციით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახადების მუხლი, 9 თვის მონაცემებით, 121%-ით შესრულდა, სხვა შემოსავლების მუხლი 120,4%-ით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი 112%-ით.

რაც შეეხება იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის გეგმას, ის 258 მლნ 259 ათას 700 ლარი იყო, თუმცა გეგმა 15,4%-ით გადაჭარბდა და შესრულებამ 298 მლნ 300 ლარი შეადგინა. საბიუჯეტო მონაცემები ცხადყოფს, რომ აჭარის ნაერთი ბიუჯეტის გადასახადების მუხლი 18,8%-იანი გადაჭარბებით, სხვა შემოსავლების მუხლი 13,7%-იანი გადაჭარბებით, ხოლო არაფინანსური აქტივების (კლება) მუხლი მხოლოდ 95,4%-ითაა შესრულებული. რაც შეეხება თვითმმართველ და მუნიციპალურ ბიუჯეტებს მათი შესრულების მონაცემები ასე გამოიყურება: ბათუმი 98,9%, ქობულეთი – 90,3%, ხელვაჩაური – 147,2%, ქედა – 107,9%, შუახევი – 157,3% და ხულო – 167,3%.

მახოს ხიდი გონიოს ხიდს მალე ახალი საავტომობილო გზით დაუკავშირდება

ბათუმში მახოს ხიდი გონიოს ხიდს მალე ახალი საავტომობილო გზით დაუკავშირდება. 5,7 კილომეტრი სიგრძის გზის მოწყობის სამუშაოები ჭოროხისპირის ქუჩაზე დაიწყო. ახალი გზის მონაკვეთი მახოს ხიდს გონიოს ხიდთან დააკავშირებს.

ამ ეტაპზე ჭოროხისპირის გზის ასფალტობეტონის საფარის მოწყობა 1000 მეტრზე მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში 197 მეტრი სიგრძის გაბიონი, 190 მეტრი ბეტონის საყრდენი კედელი, 140 მეტრი მონოლითური რკინაბეტონის სწორკუთხა მილი და 54 მეტრი ლითონის მილი მოეწყობა. სამუშაოების ღირებულება 1 031 073 ლარია. სამუშაოებს შპს „ტ.ტ." წლის ბოლოსთვის დაასრულებს.

◎ დღესასწაული

მცხეთობა - სვეტიცხოვლობა



14 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი წმიდა სამოციქულო ეკლესია და ქართველი ხალხი დღესასწაულობს საუფლოისა და კვართისა, აგრეთვე ღვთაებრივ ბრწყინვალე დღეს, იგივე მცხეთობა-სვეტიცხოვლობას.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ საქართველოში არსებულ სიწმინდეთა შორის ყველაზე დიდი მართლმადიდებლური სიწმინდე არის სვეტიცხოველი!

აღსანიშნავია ისიც, რომ თავდაპირველად სვეტიცხოვლის ტაძარი ხის ყოფილა... მშენებლობისას თურმე ერთი ბოლო სვეტი ვერაფრით ჩაასვეს მიწაში, მაგრამ წმიდა, ქალწულ, მოციქულთა სწორ ნინოს ლოცვით ანგელოზმა ზეცად აიტაცა სვეტი, მერე კი ის, ღვთაებრივი ნათლით შემოსილი ნელ-ნელა დაუშვა დაბლა და ზუსტად იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უფლის კვართია დაფლული. მის გარშემო აიგო სვეტიცხოვლის ტაძარი...

ნიშანდობლივია ისიც, რომ სანამ კონსტანტინოპოლიდან გამოგზავნილი მღვდელნი ჩამოვიდოდნენ, მირიან მეფემ სიხარულით ისტუმრა იოანე ეპისკოპოსი, ხოლო წმინდა კონსტანტინე დიდმა ქრისტეს სჯულს შემდგარ მეფეს და ერს გამოუგზავნა ჯვარი და ხატი მაცხოვრისა, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი – კვარცხლბეკი და სამსჭვალი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

საგულისხმოა, რომ მტკვრისა და არაგვის შესართავთან ნათელიღო დედოფალმა, მეფემ, სამეფო კარმა და სრულიად ქართლმა.

ფრიად საინტერესოა ისიც რომ წმინდა ნინოს რჩევით, ერთი ჯვარი აღიმართა თხოთის მთაზე, მეორე – ქალაქ უჯარმაში, მესამე ჯვარი კი – არაგვს გაღმა კლდოვან ბორცვზე (ანგელოზის პირით ეუწყათ). როცა ეს პატიოსანი ჯვარი მცხეთაში აღიმართა, მაშინვე ყველა კერპი დაიმსხვრა ქართლში.

სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით სვეტიცხოველში – სადაც საქართველოში გაბრწყინებაა გაცხადებული, განსაკუთრებული საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინება!

მოწამეთობა

15 ოქტომბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია არგვეთის მთავართა, წმიდათა დიდმოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს ხსენების დღეს დღესასწაულობს.

...საქართველოზე გამოლაშქრებულ მურვან ყრუს არგვეთელი დავით და კონსტანტინე მხეიძეები შეებრძოლნენ. უთანასწორო ბრძოლაში ძმები ტყვედ ჩაიგდეს და რჯულის შეცვლა შესთავაზეს, მაგრამ მათ უშიშრად აღიარეს წმინდა სამება...

დიდმოწამეთა გვამები დაკრძალეს წყალწითელას ნაპირზე მდებარე ეკლესიაში.

მოწამეთა მონასტერი, მეცნიერთა აზრით, მეფე ბაგრატ IV მიერ უნდა იყოს აგებული...

გიული ლიპარტია

ყაჩაღებს ბრალი წაუყენეს

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დიდი ოდენობით ნივთის დაუფლების მიზნით ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში ბრალდებული ს.ყ. და გ.ა. დამნაშავედ სცნო.

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2017 წლის 3 იანვარს, ქ. ბათუმში, ადლიის ქ. მიმდებარე ტერიტორიაზე ს.ყ. გ.ა.-სთან და თ. ქ.-სთან ერთად თავს დაესხა შ.პ.ს „იალჩინ მარკეტ"-ის თანამშრომლებს, რომლებიც სამსახურებრივი ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ. თავდამსხმელებმა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, აღნიშნული პირები იმავე ავტომანქანით ბათუმის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაიყვანეს, სადაც დანით და ცეცხლსასროლი იარაღით, სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ შ.პ.ს „იალჩინ მარკეტ"-ის კუთვნილ 148,546 ლარს და მარკეტის თანამშრომელთა პირად ნივთებს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა გ.ა. ქ.ფოთში, ხოლო ს.ყ. ქ.ბათუმში 19 იანვარს დააკავეს. რაც შეეხება თ.ქ.-ს, იგი 21 იანვარს ქ. ბათუმში იქნა დაკავებული.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებული სრულად სცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად გ.ა.-ს და თ.ქ.-ს 8 წლითა და 6 თვით, ხოლო ს.ყ.-ს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

სანთელი

გარდაიცვალა ქართული კინოს მშვენება, უმშვენიერესი ქალბატონი

ლიკა ქავჭარაძე

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი ლიკას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, ახლობლებს და სრულიად საქართველოს.

გურამ მირცხულავა, თენგიზ ტრაპაიძე, ალეკო ასლანიშვილი, კოტე სიმონიშვილი, ნუგზარ ნადირაშვილი, ოთარ ტურაბელიძე, მამუკა ვაშაკიძე ოჯახებით გულითადად თანაუგრძნობენ მეგობარს, სამების ტაძრის დეკანოზს, მამა როსტომ ლორთქიფანიძეს დიდ მწუხარებაში მეუღლის

ქეთევან ნუკრაძე-ლორთქიფანიძის

გარდაცვალების გამო.

განცხადება

2017 წლის 6 დეკემბერს, 2 საათზე, წალკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22) გაიმართება დაშბაშიჰესის რეკონსტრუქციისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვის პერიოდში დაინტერესებულ მხარეებს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის გაცნობა, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენა შეუძლიათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. №6; ტელ.: +995 (32) 272-72-60;
- შპს „ქცია - 94"-ს ოფისში- ქ. მარნეული, რუსთაველის ქუჩა №78, ტელ: 599 57 13 47;

საქმიანობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს, გზშ-ს ანგარიშთან დაკავშირებული შენიშვნებისა და კომენტარების წარმოდგენა შეუძლიათ, 45 დღის ვადაში. გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე დასწრების უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

შპს „ქცია - 94"-ს ადმინისტრაცია.

მკვლელობები გურიაში

გურიაში ბოლო პერიოდში მომხდარი გახმაურებული მკვლელობების გამო პოლიციის უფროსი კახაბერ მურადაშვილი თანამდებობიდან გადააყენეს. „გურიის მოამბის" ინფორმაციით, ის ოფიციალურად პოსტს თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დატოვებს.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე გურიაში მომხდარი მკვლელობებიდან 3 სავარაუდოდ, შეკვეთილი მკვლელობაა, არც ერთი მათგანი გამოძიებული არ არის.

ბოლო რამდენიმე დღეში კი გურიაში ორი მკვლელობა მოხდა. ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში 28 წლის მამაკაცი მოკლეს, ოჯახის ახლობლების მტკიცებით, ეს მკვლელობაც შეკვეთილი იყო.

ოზურგეთის რაიონის სოფელ მელექედურში სამი დღის წინათ 45 წლის მერაბ ღაჟონია მოკლეს.

შს სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ მურადაშვილის გათავისუფლების შესახებ ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

ტრაგედია ჩხოროწყუ-მუხურის გზაზე

ავტოსაგზაო შემთხვევას ჩხოროწყუში ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევა ჩხოროწყუ-მუხურის გზაზე, ლეგახარიეს მონაკვეთზე მოხდა. მსუბუქი ავტომობილი მოსრიალდა, ბორდიურს შეეჯახა და ხრამში გადავარდა.

შემთხვევისას მანქანაში ძმები იმყოფებოდნენ. ერთ-ერთი მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა, მეორე კი ჩხოროწყუს საავადმყოფოშია გადაყვანილი. ექიმების განმარტებით დაშავებულის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით მიმდინარეობს.

ძმობას და სიყვარულს რა სჯობს!

შენ ჩვენი სულის ინჟინერი ხარ, ძმაო!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ძობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი

უღრმესი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავენ დაბადების დღეს საქართველოს საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, გამორჩეულ პარტიულ და სამეურნეო მუშაკს, ყოფილ „საქარხნო“ რაიკომის მეორე და ჩოხატაურის რაიკომის პირველ მდივანს, ყოფილ „საქნავთობის“ გენერალურ დირექტორს, გამოჩენილ ბიზნესმენს, ძმობისა და მეგობრობისთვის თავდადებულ უკეთილშობილეს პიროვნებას ბატონ

გია მახარაძეს

ბუკინისტი იყიდის:



მე-18-მე-19 საუკუნეში გამოშვებულ წიგნებს – 1500 ლარად, საბჭოთა კავშირში გამოშვებულ ფაიფურის სტატუეტებს – 200 ლარად, ძვირად იყიდის 1945 წლამდე გამოშვებულ ჟურნალებს, მისალოც ბარათებს, გრავიურებს, ნახატებს, ხელნაწერებს, პლაკატებს, საბავშვო წიგნებს, მოვერცხლილ ან ვერცხლის ჭურჭელს.

591-75-35-38.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

როგორი იქნება საზოგადოებრივი არხის ახალი შენობა?

პირველი **არხის ახალი შენობის არქიტექტურული პროექტის შესარჩევად ხმის მიცემა დასრულდა. ყველაზე მეტი – 14227 ხმა შპს „თბილქალაქპროექტის“ პროექტმა მიიღო.**



„საზოგადოებრივის“ ინფორმაციით, შპს BWC-ის პროექტმა – 7727 ხმა მიიღო, ხოლო შპს „არტსტუდიო-პროექტმა“ - 11127.

გამარჯვებული პროექტი ოთხი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით შეირჩა: ფუნქციური მხარე, პრეტენდენტის გამოცდილება, პერსონალის გამოცდილება და მიწოდების ვადა. მეხუთე კრიტერიუმი – შენობის დიზაინია, რომელიც საზოგადოებამ ხმის მიცემის პრინციპით შეარჩია.

სამშენებლო ტენდერი 6-7 თვეში გამოცხადდება, ხოლო მშენებლობა, სავარაუდოდ, 2020 წლისთვის დასრულდება.

8 აგვისტოს მაუწყებელმა არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე კონკურსი გამოაცხადა, რის შემდეგაც, შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა საკონკურსო დოკუმენტაცია, შესყიდვის ღირებულებით 1.032.048 ლარი.

კონკურსში მონაწილეობის სურვილი სამმა კომპანიამ: შპს BWC-მ, შპს „თბილქალაქპროექტმა“ და შპს „არტსტუდიო-პროექტმა“ გამოთქვა.

ქართული ფილმი „ანა“ მაკედონიის კონიფესტივალის გამარჯვებულია

ქართველი **რეჟისორის მარგო ზუბაშვილის ფილმი „ანა“ მაკედონიის საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული კინოცენტრი ავრცელებს. „კინენოვა 2017“-ზე ქართულმა ფილმმა საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ნაშუშევრების სექციაში გაიმარჯვა.**

ფილმი ანას ორ დღეზე მოგვითხრობს, რომელიც მის განვლილ და მომავალ ცხოვრებას რადიკალურად ცვლის. მთავარ როლს მსახიობი ნინო კასრაძე ასრულებს.

გასაცინებელი ა(მ)ბები

წინდები

პარიზელმა მოდების კანონმდებელმა დიორმა მავან უცნობს მიმართა:

– მაპატიეთ, მოსიე, მაგრამ ღია ფერის კოსტიუმს შავი წინდები არ უხდება.

იქვე გვერდით თანამშრომელი რომ ედგა, იმან დიორს წასჩურჩულა:

– თქვენ ალბათ, ყურადღება არ მიაქციეთ ბატონო, მაგას საერთოდ არ აცვია წინდები.

ფინანსისტის დაავადება

ავადმყოფი მილიონერი თავის მკურნალ ექიმს ეუბნება:

– ძვირფასო მეგობარო, გადავწყვიტე, რომ ყოველ მოსვლაზე აღარ გადაგიხადოთ ჰონორარი. სამაგიეროდ ჩემს ანდერძში ჩაგწერეთ. ჩემი სიკვდილის შემდეგ მნიშვნელოვან თანხას მიიღებთ, მოგწონთ?

– რასაკვირველია, – უპასუხებს ექიმი. – ოღონდ, თუ შეიძლება, ერთი წუთით დამიბრუნეთ რეცეპტი, ერთ მცირე შენიშვნას შევიტან.

სასწავლო სახელმძღვანელო

თვითმმართველობის სასურსათო მაღაზიის მუდმივი მომხმარებელი სურსათის ქურდობისთვის სასამართლოს წინაშე წარდგა.

– რით შეგიძლიათ თავი იმართლოთ? – ეკითხება მოსამართლე.

– სულ იმ ერთი წიგნის კითხვის ბრალია, თავისი გავლენის ქვეშ მომიქცია.

– კრიმინალურ ლიტერატურას გულისხმობთ? – ეკითხება მოსამართლე.

– არა, სამზარეულო წიგნზე მოგახსენებთ. იქ ყოველ გვერდზე წერია: აიღეთ ერთი კილო ფქვილი, აიღეთ ერთი კილო შაქარი, აიღეთ ერთი კილო კარაქი...

ნებისყოფა

მავანმა ღატაკმა ქუჩაში სქელი ქალი გააჩერა.

– ქალბატონო, იქნებ დამეხმაროთ, სამი დღეა ლუკმა არ ჩამსვლია პირში.

– ო, ღმერთო! – შესძახა სქელმა ქალმა. – ნეტავი შენი ნებისყოფა მომცა!..

როგორ გავხდეთ მილიონერი

შვილი ეკითხება მამას, როგორ გავხდე მილიონერიო. მამა ეუბნება, როგორც პარკერი, ისეო.

– ეგ როგორ? – ეკითხება შვილი.

– ძალიანაც იოლად. პარკერს ჰყავს ქალიშვილი, რომელსაც სიმღერის მასწავლებელი დაუქირავა. მასწავლებელი ყოველდღიურად ორჯერ ავარჯიშებს იმ ქალიშვილს, დილით და საღამოს, და პარკერმა კარგა გვარიანი ქონება დააგროვა.

– რანაირად? – გაკვირვებულია შვილი.

– დიდი მოუსაზრებელი ვინმე ხარ! რანაირად და, რაც სამეზობლოში სახლები იყო, სუყველა ჩალის ფასად შეიძინა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4831; ევრო - 2.9432;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2737;
100 რუბლი - 4.3027; თურქული ლირა - 0.6790
აზერბაიჯანული მანათი - 1.4625;
1000 სომხური დრამი - 5.1720.

ამინდი 14 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4 დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე +1, დღე +20
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +5, დღე +24
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +22
თბილისი: ღამე +8, დღე +22

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge